სარგიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 4 სექტემბერი 2003 №166 (1937) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს ნაკრებმა თეორიული ალბანეთი უკვე დაამარცხა

იხილეთ მესამე გვერდი

კლოდ სორელმა ლუდოვიკო XV ნაკრებიდან გაუშვა



მონპელიედან ტურინამდე ავტობუსით შვიდი საათი იარეს, გადასერეს ლანგედოკის და პროვანსის ველები და უკან მოიტოვეს ფრანგული ლაჟვარდოვანი ნაპირი, მონაკო და იტალიური რივიერა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასის სამზადის მატჩში ზეგ, 6 სექტემბერს მძლავრ იტალიასთან დაეწყობიან. ჩვენების მეთაური კლოდ სორელი უხასიათობას არ უჩივის, რაკი ქართულ სარაგბო ამქარში მოძიებული თითქმის ყველა სასურველი მოთამაშე ხელქვეით ჰყავს. და ერთიც, იტალიის გზაზე ჩვენებმა მარსელში შეიარეს და მსოფლიოს თასზე ჩვენი წილხვედრი ინგლისის თამაში ნახეს. ინგლისელებზე ქართველებს ცალსახა აზრი აქვთ. „გვიშველეთ!“ — უნდა იყვიროს ყველამ, ვინც ბრიტანელ მონსტრებს კლანჭებში ჩაუვარდება.



MAKE MONEY! ვლადიმერ სტეფანიამ და მაიამიმ ფულზე ხმამაღლა ოლაპარაკეს. ვოვა წამოვიდა

გაურკვეველია, სად ითამაშებს ვლადიმერ სტეფანია, მაგრამ გაირკვა, რომ ქართველი ცენტრი თავის მეექვსე სეზონს ძველ გუნდთან ერთად აღარ დაიწყებს. ორიოდ დღის წინ ვოვა სკანდალურად დაშორდა „მაიამი ჰითს“, რადგან ფლორიდელებს მთელი თავისუფალი ფული სხვებზე დაუხარჯავთ და სტეფანიასთვის დღიური მუშის ხელფასი გაუწოდებიათ. დამცინიანო, უთქვამს ვოვას და კარი გამოუჯახუნებია.

„საკუთარი მწვრთნელი დავიქირავე და სხვა დარბაზში გადავედი“ — გვეუბნება ჩვენებური. ის ვერც შესაძლო კლუბს ასახელებს, რადგან დღეს-ხვალ შეიძლება თავი იქ ამოყოს, სადაც ცენტრი უჭირთ. ასეთი კლუბი კი არაერთია. მოგეხსენებათ, ისეთი დრო დადგა, ხეირიანი მაღალი ბიჭები ნბა-შიც კი გაჭირდა

SOS ქართველებმა ინგლისი ნახეს



2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეზოყველები

ირლანდია — რუსეთი
6 სექტემბერი

ირლანდია

მეკარეები: გივენი (ნიუკასლი), კოლგანი (სტოკპორტი)

მცველები: ოში (მანჩესტერი), კარი (ტოტენჰემი), კანინგემი (ბირმინგემი), ბრინი (სანდერლენდი), ობრაიენი (ნიუკასლი), ჰარტი (ლიდსი), დანი (მანჩესტერ სიტი), ფინანი (ლივერპული)

ნახევარმცველები: კარსლი (ევერტონი), ჰილი (სანდერლენდი), ჰოლანდი (ჩარლტონი), კინსელა (ასტონ ვილა), მაკფაილი (ნოტინგემი), კილბეინი (სანდერლენდი), რიდი (ბლეკბერნი)

თავდამსხმელები: ქუინი (შეფილდ უენსდი), დაფი (ჩელსი), დოჰერტი (ტოტენჰემი), მორისონი (ბირმინგემი), კონოლი (ვესტ ჰემი), ლი (კარდიფი)

რუსეთი

მეკარეები: ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), მალაფეევი (ზენიტი)

მცველები: იგნაშევიჩი (ლოკომოტივი), ნიჟეგოროდოვი (ლოკომოტივი), ევსეევი (ლოკომოტივი), სენიკოვი (ლოკომოტივი), კოვტუნი (სპარტაკი), ონოპკო (სპარტაკ-ალანია)

ნახევარმცველები: სმერტინი (პორტსმუთი, ინგლისი), ტიტოვი (სპარტაკი), გუსევი (ცსკა), იზმაილოვი (ლოკომოტივი), ალდონინი (როტორი), სემშოვი (ტორპედო), ესიპოვი (როტორი), კარიაკა (კრილია), ლოსკოვი (ლოკომოტივი), რადიმოვი (ზენიტი), მოსტოვოი (სელტა, ესპანეთი), ალენიჩევი (პორტუ, პორტუგალია)

თავდამსხმელები: სიჩოვი (მარსელი, საფრანგეთი), კერჟაკოვი (ზენიტი), ბულიკინი (დინამო)

ლუქსემბურგი — შვეიცარია
10 სექტემბერი

შვეიცარია

მეკარეები: ბორერი (გრასჰოპერი), ცუბერბიულერი (ციურიხი)

მცველები: მაიერი (მიუნხენი, გერმანია), მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მ. იაკინი (ბაზელი), ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), ცვისიგი (ბაზელი), ანშო (ლივერპული, ინგლისი), მანინი (ვერდერი, გერმანია), შპიხერი (გრასჰოპერი)

ნახევარმცველები: კაბანასი (გენგამი, საფრანგეთი), სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), ფოგელი (პსვ, ჰოლანდია), ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), კანტალუპი (ბაზელი), ჰუგელი (ბაზელი)

თავდამსხმელები: შაპუიზა (იანგ ბოიზი), ფრაი (რენი, საფრანგეთი), რამა (თუნი)

გერმანია
საკვ. რეზერვასლიგა V ტური

ზიგენი 3:2 აალენი
ჰოფენჰაინი 2:1 პფულენდორფი
ელვერსბერგი 1:1 მაინცი (მ)

პორტუგალია
ლიგა III ტური

ბილ ვისენტე 2:0 ფერეირა

სლოვენია
ლიგა

კოპერი 3:0 პრიმორიე

ესპანეთი
პრიმერადივისიონი
II ტური

ვალიადოლიდი 1:0 მალაგა
მურსია 1:1 რასინგი
დეპორტივო 2:0 ბილბაო
მალიორკა 2:0 სარაგოსა
ბეტისი 2:2 ესპანიოლი
ატლეტიკო 1:0 ალბასეტე

შოტლანდია
ლიგის თასი I ტატაკი

მორტონი 2:0 სტრანრარი

დანია
თასი III ეტაპი

რანდერსი 5:1 ორჯუსი
ვეილე 2:4 სილკებორგი

შვეიცარია
ლიგა
IX ტური

ბაზელი 4:1 სტ. გალენი
ცსკამაცი 2:3 სერვეტი
ვილი 1:0 აარაუ
იანგ ბოიზი 4:0 გრასჰოპერი
ციურიხი 4:0 თუნი

REUTERS ლეო კორუნიდან

დეპორტივო — ბილბაო. დიეგო ტრისტანმა ფეხი ბალერონივით გაშალა





REUTERS ტერესა ბოლელისიდან

მილენა დომინგუშა და რონალდო ახლა ერთმანეთისთვის ვერ იცლიან:
ცოლი ამერიკის შოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, ქმარი 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი მატჩისთვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობ დოლინგაზეთის ფოტო

სპარტაკი რიკოშეტივით მოულოდნელი იყო ლომაიამ წინგადადგმულ ნაბიჯზე მოაწერა ხელი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია ახლახან მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა. ლომაიას რუსეთის „სახალხო გუნდში" ჯერ ერთხელაც არ უვარჯიშია, რადგანაც კონტრაქტზე ხელმოწერიდან მეორე დღესვე თბილისში დაბრუნდა. ახლა ის ნაკრებთან ერთად ალბანეთის წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება.

— ძალიან მიხარია, რომ ჩემს ტრანსფერს ბოლოს და ბოლოს საშველი დაადგა. „სპარტაკში" გადასვლას წინგადადგმულ ნაბიჯად ვთვლი. რაც უნდა იყოს, რუსული ფეხბურთი ახლა აშკარად წინსვლის გზაზეა.

— „სპარტაკის" ვარიანტი რაღაცნაირად უცებ გაჩნდა და შენთან კონტრაქტის გაფორმებაც სწრაფადვე მოხდა. იცოდი, რომ ეს კლუბი ადრეც იყო შენით დინტერესებული?

— არა. ადრე ბევრ კლუბზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ლაპარაკად დარჩა. „სპარტაკის" ვარიანტი მართლაც უეცრად გაჩნდა. თან, ჩემი აზრით, საფიქრალიც უკვე არაფერი იყო. მოსკოვში ჩავედი, პირობებზე მალევე შევთანხმდით და ხელიც მოვაწერე.

— ხომ არ გეჩვენება, რომ ოთხი წელი ბევრია?

— რატომღაც ყველამ დაწერა და თქვა, თითქოს „სპარტაკთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ მთლად ასე არ არის. მოსკოველებს 2006 წლის ბოლომდე ვეკუთვნი, რაც ოთხი წელი არანაირად არ გამოდის.

— ხელმძღვანელობას შეხვდი?

— მოსკოვში მხოლოდ კლუბის გენერალური დირექტორი შიკუნოვი დამხვდა. დანარჩენები მონაკოში, უეფას თასის წილისყრაზე იყვნენ. შიკუნოვთან ერთად გავაფორმე კონტრაქტიც.

— პირობებით კმაყოფილი ხარ?

— ყველაფერი მისაღებია. ჯერჯერობით სასტუმროში ვიცხოვრებ. მერე კი ბინასაც მომცემენ. განაცხადშიც შემიყვანეს. 16 ნომერი მაისურა მერგო. ასე რომ, ჯერ არანაირი პრობლემა არ მაქვს. ახლა მთავარია, ვითამაშო.

— „სპარტაკს" შენამდე ორი მეკარე ჰყავდა — მარკოელი და პოლონელი. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა არ გაგიჭირდება?

— ამისი არასოდეს მშინებია. პირიქით, კონკურენცია კარგია. თავს მოდუნების უფლებას არ მისცემ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ ვითამაშებ, ძირითადსაც არავინ დამამადლის.

— მოსკოვში როდის ბრუნდები?

— 11-ში იქ უნდა ვიყო. მერე ალბათ მთავარ მწვრთნელსაც შევხვდები და ყველაფერს უფრო დეტალურად გავარკვევ.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ორიოდ დღეში ალბანეთთან თამაში გველის. რას ფიქრობ?

— რა ვიცი, ალბათ ძალიან რთული თამაში იქნება. ალბანეთს კარგი გუნდი ჰყავს და იოლად არაფერს დაგვითმობს. რა თქმა უნდა, მოსაგებად ვითამაშებთ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო — ალბანეთი

თბილისი. ეროვნული. 6 სექტემბერი. 20 საათი



დავით თავართქილაძე, ბადრი კეთილაძე (ფოტო)

ზღვა და მონტე კარლო

6 სექტემბერს თბილისი დინამოა

საქართველომ ალბანეთი მინუსებში აიღო

გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 11 საათზე ივარჯიშა და მერე თბილისურ ხვატს კეთილმოწყობილ ბაზაზე შეაფარა თავი. საღამოს ფეხბურთელებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარდათ, შუალედში კი რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ



ზურაბ ხიზანიშვილი

— მე თუ მკითხავთ, ალბანეთის ნაკრებში ყველაზე გამორჩეული რგოლი თავდასხმაა. თუმც ალბანელებს ისეთი რანგის ფორვარდები არ ჰყავთ, როგორიც შვეიცარიას, ირლანდიას თუ რუსეთს. რაც შეეხება „ბოლონიაში" მოთამაშე ფორვარდ იგლი ტარეს, ის მაინც უფრო ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს.

— ალბანეთთან მატჩებში კახა კალაძე არ გვეყოლება...

— ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისია, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ კალაძის არყოფნა გუნდს დიდად არ დაეტყოს.

— თქმა არ უნდა, კალაძის არყოფნაში დაცვის ბურჯად ხიზანიშვილი იქნება — მზად ხარ ასეთი პასუხისმგებლობისთვის?

— ამისთვის მზად ვარ. შევეცდებით, ისეთი შეცდომები არ დავუშვათ, რაც სანანებელი გაგვიხდება, საერთოდ კი, ბურთი მრგვალია და შეცდომას ყველა უშვებს.

— გასაგებია, მაგრამ ნახევარდაცვის ცენტრში თამაშს ჯერჯერობით ვერც „რეინჯერსში" ახერხებ და ვერც ნაკრებში, სადაც ამ პოზიციაზე მხოლოდ ერთხელ ითამაშე უკრაინას ნაკრებთან სამი წლის წინ.

— როცა მწვრთნელი გეტყვის, ამ კონკრეტულ პოზიციაზე უნდა ითამაშოო, უარს ვეღარ ეტყვი — მწვრთნელს უნდა გაუგო და უხერხულ სიტუაციაში არ უნდა ჩაგდო, მით უმეტეს მაშინ, როცა დაცვაში მას შენი იმედი აქვს.

— რის ხარჯზე შეუძლია საქართველოს ნაკრებს მობილური, ძალიან მოძრავი ალბანეთის დამარცხება?

— ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს — წყალწაღებულნი ნამდვილად არ ვართ. ბოლოს და ბოლოს, ეს ალბანეთია. ამ გუნდს ბევრი მინუსი აქვს და სწორედ ამის ხარჯზე ვაპირებთ მის დამარცხებას. თანაც მინუსი იმდენია, რომ ადვილად შეიძლება მათი ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება.

— მაინც რა მინუსები აქვს ალბანეთის ნაკრებს?

— ახლა არანაირი უფლება არ მაქვს, ეს ვთქვა — თამაში წინაა.

შოთა არველაძე

— მძიმე თამაში გველის. ალბანეთი ძალიან მოძრავი, ტექნიკური გუნდია.

— ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების ძალიან მცირე შანსი შეგვრჩა — სტადიონზე ბევრი ხალხის მოსვლას თუ ელის?

— მაინც რატომ არ უნდა მოვიდეს ხალხი სტადიონზე?! თუ არა სტადიონზე, სხვაგან სად უნდა წავიდეს კაცი?! ზღვა აქ არაა და არც მონტე-კარლო.

— ზოგი გუნდი შინ უკეთ თამაშობს, ზოგს გასვლაზე კარგი თამაში ეხერხება, ზოგს ორივე ერთად. ამ მხრივ როგორ გუნდად მიგაჩნია ალბანეთი?

— ვფიქრობ, ალბანელებთან გასვლაზე უფრო ძნელი იქნება თამაში.

— ალბანელებს მანამდე ორ შესარჩევშიც გადავეყარეთ. შენ სამჯერ ითამაშე მათ წინააღმდეგ და სამივეჯერ გაუტანე — ერთხელ თბილისში, ორჯერ ტირანაში. ალბანეთის ახლანდელი ნაკრები უწინდელს შეადარე...

— ორი აზრი არ არსებობს — ალბანეთი ახლა უფრო ძლიერია — ალბანელებს უკეთესი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავთ. თუმც, რა თქმა უნდა, გოლის გატანას ახლაც შევეცდები.

— „რეინჯერსში" ძალიან ხშირად მარცხენა გარემარბად თამაშობ, შეტევის გარდა ზონის გადაკეტვაც გევალება — მერაბ ჟორდანია იგივე პოზიციაზე ხომ არ გიპირებს თამაშს?

— ვფიქრობ, ნაკრებში ეს არ მოხდება. ან რატომ უნდა მოხდეს? გამოკვეთილ ფორვარდად ვერ ვითამაშებ თუ რა?!

— ჟორდანია ალბათ უკვე გესაუბრათ ფეხბურთელებს — დაახლოებით როგორ აპირებს ალბანეთთან თამაშს?

— თეორიული მეცადინეობა კი გვქონდა, მაგრამ რა ტაქტიკით ვითამაშებთ ალბანეთის წინააღმდეგ, ამაზე ბოლომდე ჩამოყალიბებულები ჯერ არ ვართ.

— ნაკრების ახალი ბაზა როგორ მოგეწონათ ფეხბურთელებს?

— ძალიან მაგარია, ყველანი კმაყოფილები ვართ. ყველაფერი მაღალ ევროპულ დონეზეა გაკეთებული.



ლადო ბურდული

— ალბანეთთან ძალიან დაძაბული მატჩი გვექნება. მართლაც კარგი გუნდია, რისი დასტურიცაა ალბანეთ — რუსეთის 3:1 და ირლანდია — ალბანეთის 2:1. ალბანელები ერთობ მკაცრად თამაშობენ და გამორჩეული ლიდერი არ ჰყავთ.

— ფლანგზე მოთამაშე ხარ და მეტოქის ფლანგებზე რას იტყოდი?

— ალბანეთის ნაკრების თამაში ფლანგებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული — ირლანდიაში ალბანელებმა სწორედ ფლანგური შეტევის შედეგად გაიტანეს.

— რამდენი ქულის აღება შეგვიძლია 6-10 სექტემბრის მატჩებში?

— ორივე თამაში უნდა მოვიგოთ — მაქსიმუმს შევეცდებით.

— მოკლე დროში და არსებულ ვითარებაში, შეუძლია ჩვენს ნაკრებს, უწინდელზე უკეთ ითამაშოს?

— ყველანაირად ვეცდებით, ქვეყნის წინაშე ღირსეულად წარვდგეთ დარჩენილ მატჩებში.

— როგორ ფიქრობ, 6 სექტემბერს ხალხი მოვა სტადიონზე?

— თუ ტრიბუნები გაივსება, თამაშიც გაგვიადვილდება. პირადად ჩემთვის „დინამო" მაინც „დინამოა", ანუ ეროვნულ სტადიონზე თამაში ჩემთვის უფრო იღბლიანია.

— ნაკრებს ახალი, შვეიცარიელი ფიზმომზადების მწვრთნელი ჰყავს...

— მას ძალიან კარგი ვარჯიშები აქვს, სახალისო და ჩვენთვის უცხო.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

საქართველო — ალბანეთი

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 6 სექტემბერი. 17 საათი

არველაძემ თავის თავს თავით მოუგო

საალბანეთოდ შეჯრებილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ ვაკეში შეთხელებულ-გადახალისებულ „ლოკომოტივს" ამხანაგურად გაეჯიბრა. 21-წლამდელებმა 5:1 მოიგეს. გოლები გიორგი ციმაკურიძემ (12, 18), დავით გამეზარდაშვილმა (65, 66) და ირაკლი მოდებაძემ (83), გაიტანეს. რკინიგზელთაგან კი ნაკრების მიღმა დარჩენილმა მურთაზ ბურნაძემ (85) შეაგდო



ფოტო: ალექსანდრ ბუაძის

ალსანიშნია, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხუთიდან სამი გოლი თავით გაიტანა — შახტარელმა ციმაკურიძემ ორჯერვე გიორგი დეკანოსიძის კუთხურიდან ჩაწოდებულს მიაყოლა შედეგიანი თავური, რასაც მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ზაპოროჟიელმა მოდებაძემ ერთიც დაუმატა.

რევაზ არველაძემ გუნდი 3-5-2 ტაქტიკური მონახაზით ათამაშა. 21-წლამდელებმა კვლავაც „დაგვამახსოვრეს" თავი საგოლე მომენტების გამოუყენებლობით. მიუხედავად ხუთი გატანილი გოლისა, მათ ამდენჯერვე ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ ივარგეს — ზოგჯერ სოსო გრიშიკაშვილმა ივარგა, ზოგჯერაც ბურთი კარის ჩარჩოში მოხვედრას „უარობდა".

აქვე ნაკრების სასტარტო შემადგენლობას გაგაცნობთ:

მამალაძე — ციმაკურიძე, ინწკირველი, ორბელაძე — სირაძე, კანდელაკი, გამეზარდაშვილი, დეკანოსიძე, მარცვალაძე — ბობოხიძე, ახალაია.

მეორე ტაიმში მოედანზე ბალაძე, სალუქვაძე, მანწკავა, ქოქიაშვილი, ახალკაცი, ბერიანიძე და მოდებაძე შეეიდნენ.

სახიფათო მომენტები „ლოკომოტივს" უფრო შესვენების შემდეგ შეექმნა, თუმც მხოლოდ ერთხელ იხეირა. ხშირ შემთხვევაში კი მათი შეტევების მოგერიებას 21-წლამდელები ხელოვნური თამაშგარის შექმნით ახერხებდნენ. მთლიანობაში ნაკრებმა აშკარად დაჯაბნა რკინიგზელები, თუმც ეს რა გასაკვირი იყო — „ლოკომოტივი" ხომ თითქმის სარეზერვო შემადგენლობით თამაშობდა.

ძახა შალამბერიძე



ოთარ მარცვალაძე

ფოტო: ალექსანდრ ბუაძის



გიორგი ციმაკურიძე

ფოტო: ალექსანდრ ბუაძის



ზურაბ ჯაფარიძე

ფოტო: ალექსანდრ ბუაძის

სიონის მთავარმა გაბელიას უხმო

მახარაძე მეორე ტაიმმა შეიწირა

ბოლნისის „სიონის" მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძის გაშვებით გათავისუფლებული სავარძელი ხეირიანად გაციებული არ იყო, ახალი პატრონი რომ გამოუჩნდა — კლუბის საპატიო პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ ნდობა ოთარ გაბელიას გამოუცხადა.

ეს ამბავი გუშინ გადაწყდა. „სიონის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრიბა და ახალი მწვრთნელი გააცნო. საქართველოს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელისა და კლუბ „თბილისის" ტექნიკური დირექტორის კანდიდატურა საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა საფეხბურთო საქართველოსთვის. შეგახსენებთ, რომ ოთარ გაბელია ბოლოს ისტორიასჩაბარებულ „მერანს" ედგა სათავეში.



ოთარ გაბელია

ფოტო: ალექსანდრ ბუაძის



თემურ მახარაძე

ფოტო: ალექსანდრ ბუაძის

ასეა თუ ისე, ბოლნისში ახალი კაცის ერა დაიწყო. უეფას თასზე გამყვან თემურ მახარაძეს ქვემოქართლელებმა მადლობა გადაუხადეს და გზა დაულოცეს. ახლა „სიონის" ამბიციების დაკმაყოფილებას ოთარ გაბელია ეცდება. ისევე როგორც მახარაძეს, გაბელიასაც ფირუზ რეხვიაშვილი და გიორგი ყიფშიძე გაუწევენ ასისტენტობას.

კრებისა და მწვრთნელ-ფეხბურთელების გაცნობის შემდეგ ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძეს და ახალდანიშნულ მწვრთნელ ოთარ გაბელიას გავესაუბრეთ.

ზურაბ ჯაფარიძე:

— არანაირი უთანხმოება არ მომხდარა. თემურ მახარაძეს მუშაობისთვის მადლობა გადავუხადეთ და დავშორდით. მისი გუნდიდან წასვლა ბოლო დროს „სიონის" უხარისხო თამაშმა გამოიწვია. არაერთხელ ვუთხარი მახარაძეს, რომ გუნდი იმ დონეზე ვერ თამაშობდა, როგორც შეეძლო. შედეგებზე საყვედური არავისთვის მითქვამს. ფეხბურთელებმაც იციან, რომ ერთი წაგებისთვის ხელს არავის ვკრავ. უბრალოდ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მიჩნდება. წარმოიდგინეთ, შარშანდელთან შედარებით სამჯერ უკეთესი პირობები შევქმენით. შემადგენლობა გავაძლიერეთ, მაგრამ გუნდი მაინც უხარისხო ფეხბურთს აჩვენებდა. რას უნდა დავაბრალოთ ის, რომ „სიონმა" თითქმის ყველა მატჩი მეორე ტაიმში წააგო? ესე იგი, რაღაც ხდება. ერთი სიტყვით, მახარაძესთან განშორება ვარჩიეთ. ახლა „სიონს" ოთარ გაბელია გაწვრთნის. მას კარგად ვიცნობ და მჯერა, რომ გუნდში სასიკეთო ცვლილებები მოხდება. ოთარი უფრო მომთხოვნი და დისციპლინის მოყვარული კაცია. მისი იმედი მაქვს და ვნახოთ, რა გამოვა.

ოთარ გაბელია:

— ახლა „სიონის" მთავარი მწვრთნელი ხართ. მოულოდნელი იყო ბოლნისელთა წინადადება?

— ყველაფერი უცებ მოხდა. მართალი გითხრათ, ნაღდად არ ველოდი. ზურა ჩემი მეგობარია, მთხოვა, „სიონი" ჩამებარებინა და მეც დავთანხმდი.

— ესე იგი, „თბილისიდან" წახვედით?

— „თბილისში" ტექნიკური დირექტორი ვიყავი, ახლა ამ კლუბიდან უკვე თავისუფალი ვარ. რაღაცნაირად მომენატრა კიდეც მწვრთნელობა. თან მე მუდამ ვამბობდი, თუ ვინმეს დავჭირდები, მზად ვარ-მეთქი. ასე რომ, ახლა ფეხბურთს უფრო აქტიურად ვუბრუნდები.

— რა გეგმები დაგისახათ ხელმძღვანელობამ?

— ალბათ გასაგებია, რომ ჩემპიონობას ვერავის შევპირდები. ახლა მთავარია, გუნდმა კარგად და შედეგიანად ითამაშოს. დანარჩენი მერე გამოჩნდება. რამდენიმე ტურის შემდეგ უფრო გავერკვევით, რა შეგვიძლია. მთავარია, გუნდმა ხარისხიანად ითამაშოს. შემადგენლობა და პირობები ამის საშუალებას იძლევა.

— მახარაძისეული გუნდისგან განსხვავება დიდი იქნება?

— ეს თქვენ შეაფასეთ. ჩემი გაწვრთნილი „მერანიც" გეხსომებათ. გუნდი შეკრული და ბრძოლისუნარიანი უნდა იყოს. მე ბიჭების იმედი მაქვს და რა გამოგვივა, მალე ვნახავთ.

ძახა შალამბერიძე





დევიდ ბექემი ლამის ჭომაგმა დაახრჩო, ლუის ენრიკე კი ხავი ნავარომ

ᲓᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲚᲐᲞᲝᲠᲢᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲛ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ II ᲢᲣᲠᲘ

ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ 1:1 ᲠᲔᲐᲚᲘ

1:0 ანდერსონი (71), 1:1 ნუნიესი (85)

ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ: რეინა, ბალესტეროსი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, არუაბარენა, როხერ გარსია (არსო 90), რიკელმე, მარტი, ფერნანდესი (კალუბა 58), ანტონიო, ხოსე მარი (ანდერსონი 69)

მწვრთნელი: ბენიტო ფლორო

რეალი: კასილიასი, სალგადო, რუბენი, პავონი, რაულ ბრავო, ბექემი, ელგერა (ბორხა 83), ზიდანი (სოლარი 26), ფიგუ, რაული, პორტილიო (ნუნიესი 77)

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

გაფრთხილება: ბალესტეროსი, ბექემი, სალგადო, რიკელმე

მსაჯი: ალფონსო სამორანო

16 800 მაყურებელი

ᲡᲝᲡᲘᲔᲓᲐᲓᲘ 1:1 ᲡᲔᲚᲢᲐ

1:0 კოვაჩევიჩი (37), **1:1** მილოშევიჩი (63)

ᲡᲝᲡᲘᲔᲓᲐᲓᲘ: ვესტერფელდი, რეკარტე, ხაურეგი, შურერი, არანსაბალი, ხაბი ალონსო, არანბურუ (ალკასა 72), კარპინი, დე პედრო (ბარკერო 72), კოვაჩევიჩი, ლი

მწვრთნელი: რეინალდ დენინი

ᲡᲔᲚᲢᲐ: პინტო, ხუანფრანი, ბერი



ᲓᲔᲕᲘᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

დევიდ ბექემმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა - MY SIDE ანუ პირდაპირ თუ ვთარგმნით, „ჩემი მხარე", ისე კი, უფრო „ჩემეულ სიმართლედ" ან „ჩემი თვალით დანახულად" რომ ვთარგმნოთ, ალბათ, მაინცდამაინც არ შევცდებით. ერთი სიტყვით, ბექემმა წიგნი დაწერა, „სანმა" კი მისი ფრაგმენტები გამოაქვეყნა. ჩვენი წერილიც, მოდით, ამ ფრაგმენტებს მივუძღვნათ...



ᲓᲘᲔᲒᲝᲡ ᲬᲘᲮᲚᲘ

რა შეხსენება უნდა: 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერვედფინალში, ინგლისი არგენტინას შეხვდა და პენალტებში დამარცხდა. იმ შეხვედრაში დევიდ ბექემი მოედნიდან გააძევეს, გაძევების მიზეზი კი იმ წამიდანვე მთელი მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა კი ინგლისელების გარჩევის საგნად იქცა. მეტიც, ბრიტანელებმა ბექემი ლამის იყო დამნაშავედ, მიუტევებელი ცოდვის ჩამდენად გამოაცხადეს. ამბავი, მოკლედ, ასეთი იყო: ცნობილმა არგენტინელმა ნახევარმცველმა, დიეგო სიმეონემ ბექემი წაქცია. წაქცეულმა ბექემმა პასუხად წიხლი გაუქნია (თან უკუღმა, უცნაურად), რაზეც სიმეონემ ნოკდაუნი გაითამაშა და ინგლისელი მოედნიდან გააძევებინა.

დღეს 28 წლის, მაშინ კი 23 წლის ვარსკვლავი იმ ამბის მოგონებისას აცხადებს, რომ მის გარდა მომენტზე პასუხისმგებლობა ინგლისის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს, გლენ ჰოდლსაც ეკუთვნის. კერძოდ, ჩემპიონატამდე ჰოდლს ხმამაღლა გამოუცხადებია, რომ მის ფეხბურთელთაგან სადისციპლინო პრობლემები დევიდ ბექემს აქვს.

„მასზე მოქმედებს ისეთი რაღაცეები, რაც, წესით, არ უნდა მოქმედებდეს", — ასეთია ციტატა.

წიგნში ბექემი წერს: „დიეგო სიმეონე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მის წინააღმდეგ თამაშისას აუცილებლად მოგეშლება ნერვები. ის განუწყვეტლივ გირტყამს კოჭებში, მუჯლუგუნებს გკრავს და ბევრ ამგვარ ხრიკს მიმართავს. მან იცის, რომ ამით მეტოქეზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს.

არ გამოვრიცხავ, რომ სიმეონემ კარგად იცოდა გლენ ჰოდლის ნათქვამი ჩემი ტემპერამენტის შესახებ და მოხერხებულად ისარგებლა კიდეც ამით.

...შემდეგ, როდესაც დავეცი, მან სხვათა დასანახად თავზე ხელი გამისვა, სინამდვილეში კი თმაზე დამქაჩა. მეც პასუხად ფეხი გავიქნიე. ეს ინსტინქტური და მცდარი რეაქცია გახლდათ. იმწამსვე მივხვდი, რომ ასეთი რამ არ უნდა გამეკეთებინა.

სიმეონე დაეცა, თითქოს მართლა მიმერტყას ფეხი. პირველი, რაც გავიფიქრე ეს იყო: ახლა გამაძევებენ."

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲣᲖᲨᲘ

გლენ ჰოდლთან დაკავშირებით ბექემი კიდევ ასეთ ამბავს იგონებს:

„მწვრთნელთა დიდი ნაწილი გამოცანებს პრესასა და მეტოქეებს ეუბნება, ინგლისის ნაკრების თავკაცმა კი იგი თავისი მოთამაშეების წინააღმდეგ გამოიყენა. საქმე ასე იყო: შესარჩევ ციკლში ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და ამიტომაც, როდესაც ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, ტუნისთან, ჩემი გვარი ძირითად შემადგენლობაში ვერ აღმოვაჩინე, თავი ცუდად ვიგრძენი, გეგონება ვილაცამ მუცელში ჩამცხოო.

თავიდან ვიქტორიას დავურეკე. ისიც გაოგნდა. შემდეგ დავინახე, რომ მწვრთნელი სასტუმროდან გადის, გოლფის სათამაშოდ მიემართება. მივედი და ვკითხე: რატომ არ ვარ შემადგენლობაში? მე მიზეზის ცოდნა მჭირდება. მან მომიგო: ვფიქრობ, კონცენტრირებული არ ხარ. აღვშფოთდი, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, გოლფის სათამაშოდ მიიჩქაროდა.

სინამდვილე მოგვიანებით შევიტყე. მანამდე, ერთი კვირით ადრე, ჰოდლმა დასვენების დღე გამოაცხადა — ვისაც უნდოდა გოლფს ითამაშებდა, ვისაც უნდოდა ოჯახს ნახავდა, ვისაც უნდოდა, თავს სხვა რამით შეიქცევდა. მე ვიქტორიას დავურეკე, ის ჩამოფრინდა და მთელი დღე აუზში, მზეს მიფიცხებასა და სხვა ამგვარ ლაღობებში გავატარეთ. ბიჭებიც სადღაც წავიდნენ. შე ხომ დიდი მეგოლფე სულაც არ ვარ, არ გავყოლივარ. შემდეგ გავიგე, რომ ყველანი გოლფის მოედანზე წასულან. ერთი სიტყვით, გამოვიდა, რომ ერთადერთი, ვინც ინგლისელთა ერთობლივ საქმეზე არ ფიქრობდა და სხვაგან იყო, მე გახლდით.

რა გამოვიდა? გამოვიდა, რომ ჰოდლმა ეშმაკური გამოცდა მოაწყო, არჩევანის წინაშე დაგვაყენა — ოჯახი თუ ისევ ბიჭებთან ყოფნა. რაში სჭირდებოდა 23 წლის ბიჭისთვის ასეთი ოინის მოწყობა?

ანდა, ჩემპიონატზე წასაყვანი 22 კაცის დასახელება ასე ცინიკურად რად სჭირდებოდა. დაგვაყენა და სათითაოდ დაგვიწყო: შენ გუნდში ხარ, შენ არა ხარ."

ᲡᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

შვედმა სვენ გორან ერიკსონმა, რომელიც ინგლისის ნაკრებს წვრთნის, შეიტყო, რომ დევიდ ბექემის წიგნში აღწერილია ამბავი, რომელიც გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიასთან წაგებული თამაშის შესვენებისას, მისი გუნდის გასახდელში მოხდა. ისე, მოხდა თუ არა იქ რაიმე განსაკუთრებული, ჯერ არავინ იცის ერიკსონის რეაქცია კი ასეთი გახლდათ:

„მე მწვრთნელი ვარ და ვფიქრობ, გასახდელის ამბები გახდელიდან არ უნდა გამოვიდეს, თორემ ბიჭები შენს მიმართ ნდობს დაკარგავენ. მეორე მხრივ, ვიმეორებ, მე მწვრთნელის პოზიციიდან ვმსჯელობ, ფეხბურთელისთვის კი საქმე შესაძლოა სულ სხვანაირად იყოს. ნამდვილად არ ვიცი, თავის წიგნში რას წერს დევიდი, მაგრამ მწამს სკანდალური არაფერი იქნება. რომ იყოს, ძალიან გამიკვირდება".



და კიდევ, ერიკსონმა თავისი კაპიტანი ალექს ფერგიუსონისგან დაიცვა. იაპონია-კორეიდან დაბრუნების შემდეგ მეოთხედფინალში გავარდნილ ინგლისის ნაკრებს, მიღება არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა მოუწყო. ბექემი, ეროვნული გუნდის თავკაცის „კურთხევით", მიღებას დაესწრო — აბა, კაპიტანი თუ არ მივიდოდა, ვინ უნდა მისულიყო — რითაც „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი განარისხა. მას თურმე თავისი ფეხბურთელის დედოფალთან გაშვება არ უნდოდა, მისთვის დასვენება ჰქონია ნაბრძანები.

ცუდია „დედოფალთან" სტუმრობა? მე კი პირიქით მგონია, სასახლეში ვიზიტი უბრალო დასვენებას სჯობს. ეს ისეთი მომენტია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დაგამახსოვრდება. დევიდს არ უვარჯიშია და არ უთამაშია, მან მხოლოდ დედოფალი ნახა. ნაკრების კაპიტნის რანგში ეწვია და ხელი ჩამოართვა. მე დევიდისთვის მხოლოდ მადლობის თქმა შემიძლია. მას ჩვენთვის ძალისხმევა არასდროს მოუკლია", — განაცხადა ერიკსონმა.

ფერგიუსონი კი, ბექემის წიგნის თანახმად, თურმე სწორედ იმას საყვედურობდა ფეხბურთელს, რომ იგი ძალებს უმალ ნაკრებისთვის იზოგავდა, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედისთვის".

ᲨᲢᲔᲠᲘ ᲢᲔᲠᲘ

და აი, კიდევ რა — ბექემი სკოლაში რომ სწავლობდა, რამდენიმე წელიწადი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" კლასში იარა. 13 წლის დღეობაზე კი: „სპურზში" თავს კარგად ვგრძნობდი და გუნდის განვითარების ოფიცერთან, ჯონ მონკურთანაც ჩინებული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ვენეიბლზთან შეხვედრამ უფრო კითხვები გამიჩინა, ვიდრე პასუხები გამცა.

ჯონმა ტერის ოფისში მიგვიყვანა. მან ჰკითხა: მაშ ასე, ჯონ, რა შეგიძლია ამ ყმაწვილის შესახებ მითხრა?

წარმოგიდგენიათ, „სპურზში" უკვე რამდენიმე წელიწადს ვიყავი, მას კი ჩემზე არაფერი გაეგო. ვერ ვივიწყებდი „მანჩესტერში" გატარებულ დროს. ალექს ფერგიუსონმა ჩემს შესახებ წვრილმანებიც კი იცოდა.

უცბად, ტერი მეკითხება: გინდა „ტოტენჰემში" თამაში?

- დავფიქრდები — ვუპასუხე. არადა, მინდოდა მეყვირა: მე „იუნაიტედში" წავალ!

ᲞᲐᲐᲣᲜᲐ ᲙᲘᲓᲘᲐ

დაგვიცავით!

ვიერიმ მსაჯებს დახმარება სთხოვა

კრისტიან ვიერი მსაჯებს საყვედურობს და მოუწოდებს მათ, დაიცვან ვარსკვლავები განზრახ ჩადენილი უხეშობებისგან. ბობოს მოთმინების ფიალა კვირას სერია A-ს პირველ ტურში „მოდენასთან" მატჩის შემდეგ აევსო.

„სანაკრებო შეკრებებზე ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე. ფეხბურთის თამაში უფრო და უფრო ძნელი ხდება მეტოქე მცველთა არანორმალური უხეშობის გამო. საჭიროა ისეთი მსაჯები, რომლებიც დაიცავენ ვარსკლავებს ამგვარ ეპიზოდებში, სანადირო ობიექტები ყველაზე ხშირად ხომ მაღალი კლასის მოთამაშეები ხდებიან. კვირას საშინლად მომცელეს, მაგრამ ღმერთის წყალობით გადავრჩი და ტრავმა დროულად მიშუშდება. შაბათს უელსთან შეხვედრაში ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება", — ამბობს ვიერი.

„სკუადრა აძურა" 6 სექტემბერს უელსს უმასპინძლებს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებს ესტუმრება. ამ შეხვედრებზე დიდად არის დამოკიდებული იტალიელთა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე გამგზავრება. ერთი ფრის შემთხვევაში აპენინელებს სავარაუდოდ პლეი ოფში მოუწევთ თამაში. არსებობს იმის მცირე შანსიც, რომ ჯოვანი ტრაპატონის გუნდი საერთოდაც პირველ-მეორე ადგილებზე ვერ მოხვდეს, მაგრამ ამ ვარიანტს ალბათ სერიოზულად არავინ იხილავს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ იტალიელთათვის ეს მატჩები ძალიან მნიშვნელოვანია. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ „ბეტისისა" და „რომას" ამხანაგურ შეხვედრაში ფრანჩესკო ტოტი დაშავდა. ეს უკანასკნელი თანამემამულეებს ბრიტანელებთან ჭიდილში ნამდვილად ვერ დაეხმარება, მაგრამ შესაძლოა, სერბეთთან თამაშამდე მომჯობინდეს. კრისტიან ვიერიმ ამ ყველაფერზეც გამოთქვა თავისი აზრი.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ტოტი უელსთან მატჩში ვერ ითამაშებს. იმედი გვაქვს, იგი მალე მოიშუშებს ტრავმას და სერბების წინააღმდეგ მოედანზე გამოვა. ხოლო ჩვენ ტაქტიკურ სქემას რაც შეეხება, ვფიქრობ, მისი შეცვლა უცილებელი არ არის. ჩვენ კარგი განწყობითა და ფორმით ვხვდებით ამ თამაშებს."

აქვე ვთქვათ, რომ იტალიელებს ნაკრების დებიუტანტი სიმონე პეროტა დაუშავდათ. „კიევოს" ნახევარმცველმა სერია A-ს პირველ ტურში „ბრეშასთან" თამაშში მიიღო ტრავმა. იგი, ტოტის დარად, უელსთან მატჩს გამოტოვებს.

გიორგი ძაძაბაძე

ალდაირის გზა მაცონესთან მიდის

ბაჯო ბრეშას ერთგულია



ვეტერანი ბრაზილიელი მცველი ალდაირი ცამეტწლიანი რომაული კარიერის შემდეგ, შესაძლოა, სერია A-ს დაუბრუნდეს და თავისი ერთ-ერთი ყოფილი მწვრთნელის, მხცოვანი კარლო მაცონეს შეგირდი გახდეს. მართალია, ზაფხულის სატრანსფერო სეზონი უკვე დაიხურა, მაგრამ 36 წლის ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია და ამიტომ შეუძლია, „ბოლონიაში" გადავიდეს.

შეგახსენებთ, რომ პლუტო (ალდაირის მეტსახელია) ცამეტწლიანი რომაული კარიერის მანძილზე გუნდის შეუცვლელი მოთამაშე და „რომას" ტიფოზების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახლდათ. ალდაირმა არაერთ წარმატებას მიაღწია „რომასთან" ერთად, 1994 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ვეტერან ბრაზილიელს აქამდე ორი ვარიანტი ჰქონდა — სამშობლოში დაბრუნება ან კარიერის შვეიცარიაში გაგრძელება, მაგრამ ახლა ყველაზე რეალური მისი „ბოლონიაში" გადასვლაა. ალდაირი უკვე „რომასთან" მატჩებზე ფიქრობს და იმედოვნებს, რომ არლო მაცონე თავის ყოფილ გუნდის წინააღმდეგ მოედანზე არ გაიყვანს.

ამასობაში ლეგენდარული რობერტო ბაჯო ამბობს, რომ იანვარში თავის ერთ-ერთ ყოფილ კლუბს, „ბოლონიას" არ დაუბრუნდება. როგორც იცით, ბუდისტი ფეხბურთელი და კარლო მაცონე ერთმანეთს ბრწყინვალედ უგებენ და აქამდე ორივე ირწმუნებოდა, რომ თუ ერთ-ერთი მათგანი „ბრეშას" დატოვებდა, მეორე აუცილებლად მას გაჰყვებოდა. ახლა კი, როდესაც „ბოლონია" კარლო მაცონეს ჩააბარეს, ბაჯო სხვა აზრისაა: „მე მაქვს კონტრაქტი „ბრეშასთან" და ამას პატივს ვცემ, მაგრამ თუ წასვლა მომინდა, რასაც არ ვაპირებ, ვითხოვ და გამყიდიან. როგორც უკვე ვთქვი, ეს ჩემი ბოლო სეზონია პროფესიულ დონეზე და ბედნიერი ვარ, რომ მისი გატარება აქ მიწევს. ამ მომენტში სხვა რამეზე არ ვფიქრობ. ნამდვილად ვერ ვხვდები, საიდან დაიწყო ეს მითქმა-მოთქმა. ყველამ იცის, რა კარგი ურთიერთობა მაქვს კარლო მაცონესთან, მაგრამ მე „ბრეშას" ფეხბურთელი ვარ, რაც ძალიან მიხარია".

აქვე აღვნიშნოთ, რომ 36 წლის ბაჯოს სერია A-ს პირველ ტურში „კიევოს" წინააღმდეგ არ უთამაშია, რადგან კვლავინდებურად ნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს.

ბოლოს კი ორიოდ სიტყვა 90-იანი წლების სერია A-ს კიდევ ერთ ვარსკვლავზე, მარკო სიმონეზეც ვთქვათ. ეს უკანასკნელი ბოლო რამდენიმე წელია, ფრანგული „მონაკოს" ღირსებას იცავს, მაგრამ ახლა სამშობლოში დაბრუნებას და ფლორენციის „ფიორენტინაში" გადასვლას აპირებდა, თუმც თითქმის უკვე განხორციელებული ტრანსფერი შესაძლოა, ვეტერანი იტალიელის ოჯახური პრობლემების გამო ჩაიშალოს.

„სიმონეს ოჯახური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. იგი ჩვენთან ძალიან ახლოს არის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა განვიხილოთ" — აღნიშნა „იების" დირექტორმა ჯოვანი გალიმ.

გიორგი ძაძაბაძე

კალის ქალი

სილვია ცენტნერნახევარს გაჰყვა

მომავალ კვირას, ბუდესლიგის მორიგ ტურამდე გერმანიის საფეხბურთო სამყაროში კიდევ ერთი გაყრა მოხდება. შტეფან ეფენბერგის, ფრანც ბეკენბაუერის, ლოთარ მათეუსისა და ოლივერ კანის კვალზე 150 კილოგრამიანი რაინერ კალმუნდი გაიელის.

ლევერკუზენის „ბაიერის" მენეჯერი პირველ ცოლს, გაბის, კარგა ხნის წინ გაშორდა. მერე მის ცხოვრებაში დინა შეიჭრა. კალმუნდმაც სიყვარული შეჰფიცა, მაგრამ ბურთის დევნაში სიტყვა გატეხა.

დინას ჩაკუპატებული მეუღლის მოვლა-პატრონობა მოსწყინდა, 150 კილოგრამიანს კი მეორე ცოლი.

ისინი ტკბილად შეთანხმდნენ გაყრაზე და ოფიციალურად ფურცლებზე ხელის მოწერასაც რამდენიმე დღე უკლია.

„კალიმ" (ასე ეძახიან გერმანიაში) თქვა: ჩვენ ტკბილად ვიჭუკჭუკეთ და ყველა დეტალი შევათანხმეთ. ერთმანეთთან პრეტენზიები არ გვაქვს. მას ახალი მეგობარი ჰყავს, მე კი ჩემს სატრფო სილვიასთან დაქორწინებას მოუთმენლად ველი. სიყვარულისთვის კვლავ მზად ვარ.

ყოფილ ცოლებს არ მოსწონდათ, რომ ფეხბურთში ვიყავი ჩაძირული და ოჯახს კვირაში ერთ დღესაც ვერ ვუთმობდი" — დასძინა კალიმ.

ამჯერად „ბაიერის" მენეჯერს პრობლემა მოეხსნა, მესამე ცოლი სილვია კლუბის პრეს-სამსახურის თანამშრომელია და ერთმანეთს ხშირად ნახავენ.

ვაჟა ხუციშვილი



რაიმუნდ კალმუნდი: წყალში ვდგავარ, ცეცხლი მეკიდია

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით



ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მეძებთ ჩრდილში კრუიფს
70-იანელები ერთ ჭაუაზე არიან

ამ კაცმა თავის დროზე ბარსელონური ლეგენდა შექმნა და, ბუნებრივია, კატალონიურ გრანდში დღეს მიმდინარე რევოლუციური მოვლენების ოდენ გულგრილი მეთვალყურე ვერ იქნება. ცხადია, დრო ულმობელზე უფრო ულმობელი არბიტრია და გარკვეული წლების გასვლის შემდეგ ბევრ ღირსშესანიშნავ ამბავს გულგრილობის ცივ ბარათებსაც ხშირად აჩვენებს ხოლმე, მაგრამ იმას, რაც იოჰან კრუიფმა „ბარსაში" საქმიანობისას გააკეთა, დავიწყება ნამდვილად არ უწერია



ორი დღის წინ „მფრინავი ჰოლანდიელი" ერთ-ერთ კატალონიურ რადიოში საინტერვიუოდ მიიწვიეს და ვიდრე მრავალრიცხოვან საბარსელონო-საჭირბროროტო ამბავთა ბუმში გაახვევდნენ, უმთავრესი (და ფრიად დამაინტრიგებელი) შეკითხვა დაუსვეს: „სენიორ, მაესტრო, ყოველივე იმაზე, რაც ამჟამად „ბარსაში" ხდება, რატომღაც სულ თქვენი ჩრდილია ამოტივტივებული. გულახდილად გვითხარით, კატალონიურ გრანდში მთავარ საქმეს მართლა ლაპორტა და რაიკარდი აკეთებენ თუ..." ამ „თუს" ხანმოკლე პაუზა მოჰყვა. შემდეგ კი ალბათ ესპანურ-კატალონიური აუდიტორიისთვის უხილავი ეშმაკური გაღიმებაც და იოჰან კრუიფის მტკიცე პასუხი: „არა, „ბარსელონას" ახალი სიოს ავტორთა შორის მე ნუ მეძებთ. რა თქმა უნდა, დღევანდელი გუნდის თავკაცობის საუკეთესო მეგობარი ვარ, სხვადასხვა პრობლემათა შესახებაც ბევრს ვთათბირობთ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ პრეზიდენტი ლაპორტა იღებს, იოჰან კრუიფისა თუ ნებისმიერი სხვა ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე".

სენიორ მაესტრომ ლაპორტას მმართველობა დადებითად შეაფასა. „ახლა ძველი დრო-ჟამი აღარ არის და, ბუნებრივია, კლუბის ადმინისტრაციული მოწყობაც დღევანდელი დღის შესაფერისი უნდა იყოს. მე ძალიან მომწონს ლაპორტას ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, ახალი პრეზიდენტი ჭკვიანურად იქცევა, როდესც „ბარსას" იერარქიაში დემოკრატიული ელემენტები შეაქვს".

კრუიფის აზრით, 2003-2004 წლები პრიმერადივიზიონში „ბარსელონას" პირველობა ძალუძს, მაგრამ ამისთვის ჯერ რამდენიმე ტურით დაცდაა საჭირო. „იმას, რასაც 4-წლიანი უიღბლობის ჯოჯოხეთი ჰქვია, 2-3 დღიანი თუნდაც თავგანწირული შრომით ვერ დაამარცხებს. კატალონიელებო, ძველო თუ ახალო გულშემატკივრებო, ჩემზე უფრო კარგად ვინ უწყის, თუ რაოდენ დიდია თქვენი სურვილი, საყვარელი გუნდის გამარჯვებით გაიხაროთ, მაგრამ ახლა უფრო მოთმინებისკენ მოგიწოდებთ, ვიდრე ბრძოლა-პრეტენზიებისკენ. დამერწმუნთ, სულ ცოტა ხანიც და თქვენზე უბედნიერესი ინჩასები არამცთუ ესპანურ პრიმერას, არამედ მთელ ევროპულ საფეხბურთო სამყაროსაც არ ეყოლება!" - მგზნებარედ დაიმედა „ბარსას" ფანატები ჰოლანდიელმა.

იოჰან კრუიფმა კატალონიელთა მარადიული მეტოქის, მადრიდის „რეალის" სატრანსფერო პოლიტიკაზეც ილაპარაკა. თუმცა სანამ მის აზრს გავეცნობოდეთ, მოდით, ჯერ ის ლეგენდარული 70-იანები გავიხსენოთ და ორიოდ წამით კვლავ ამოვუყენოთ გვერდით დიდებულ ჰოლანდიელს დიდებული გერმანელი მოწინაღმდეგე - ზუსტად იმ დროს, როდესაც კრუიფი ბარსელონური აუდიტორიის წინაშე ჭირთამთმენ ლექციას კითხულობდა, ოკეანისგაღმა. ბრაზილიაში საქმიანი ვიზიტით მყოფი ფრანც ბეკენბაუერი იქაური კალმოსნების წინაშე კასტილიური „რეალით" ეჭვიან აღტაცებას გამოთქვამდა. „უკანასკნელი 40-50 წლის ყველაზე საუკეთესო კლუბია. „რეალი" ჯადოსნურად თამაშობს, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, ლამაზი თამაში სტაბილურობასა და მოგებასთან ყოველთვის რომ არ ასოცირდება. ამდენი შემტევით კლუბის გავსება ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს, ჯერჯერობით მათი მიღწევა „ბეტისთან" 2:1 გამარჯვებაა", — აღნიშნა კაიზერ ფრანცმა.

კრუიფმა კი ფლორენტინო პერესის გუნდზე თქვა: „ბექემის მისვლით მადრიდელებმა ძალიან იხეირეს, თუმცა მათთვის ფრიად საჭირო კლოდ მაკელელის წასვლითაც საკმაოდ დაზარალდნენ. გუნდი ძლიერი ვარსკვლავებისა და საშუალო კლასის მოთამაშეების ჭკვიანური სინთეზით ხდება, დღევანდელ „რეალში" კი, შარშანდელთან განსხვავებით, ეს სინთეზი დარღვეულია".

ლადო ხომერიკი



სოლ კემპბელმა სხდომისგან საკუთარის გამოყოფა მოითხოვა

სოლ კემპბელმა ამ სეზონის დასაწყისში აურია და მის სახელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში ხშირად ახსენებენ. ამჯერად სადისციპლინო კომიტეტმა კემპბელის პანლურის ამბავი გაარჩია და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

გავიხსენოთ, რა მოხდა. პრემიერლიგის დაწყებამდე სუპერთასის მატჩი გაიმართა. „არსენალი" „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდა. ერთ ეპიზოდში ერიკ ჯემბა-ჯემბა „მეთოფისკენ" წინგაშვერილი ფეხით წავიდა და კემპბელს ქაცვები მუცელში ჰკრა. არსენალელმა სიმწრისგან სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, კამერუნელს პანღური ამოჰკრა.

მატჩის არბიტრმა იმ მოენტში ჯემბა-ჯემბა კი დააჯარიმა, მაგრამ დისციპლინარებმა თამაშის ჩანაწერი ნახეს და კემპბელს დისკვალიფიკაცია გზაში დააწიეს.

მოგვიანებით, პრემიერლიგის პირველ ტურში, „არსენალის" მცველი მოედნიდან გააძევეს და მან „მანჩესტერ სიტისთან" მატჩი გამოტოვა. ახლა კიდევ სამი შეხვედრის გაცდენა მოუწევს, მაგრამ სოლ კემპბელს სადისციპლინო კომიტეტში საჩივარი უფრენია, თქვენ რომ ჭრით და კერავთ, ეგრე არ არის, სამმატჩიანი ჯარიმა ძალიან ბევრია და დააკელითო. თან თავისი საქმის გარჩევას სხვა განსასჯელებთან ერთად კი არა, თურმე ცალკე მოითხოვს.

კომიტეტი აპელაციას 6 სექტემბერზე ადრე ვერ განიხილავს, რადგან ამჟამად „მეთოფე" ნაკრებშია გამოძახებული.

გაგა ხუციშვილი

ექიმი-კარატისტი ბლექბერნიდან

პრემიერლიგის მესამე ტურის მატჩში „ბოლტონმა" „ბლექბერნს" უმასპინძლა. „რიბოკის" სტადიონზე გახურებული თამაშისას სტუმარმა სტივენ რიდმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნიდან მიაბრძანეს.

სათადარიგოთა სკამთან მისული რიდი „ბლექბერნის" ექიმმა ფილ ბეტიმ დაამშვიდა და გასახდელისკენ წაიყვანა. იქ მისულთ კარი დაკეტილი დახვდათ. სტუმრები კარგა ხანს ელოდნენ სანამ „რიბოკის" მომსახურე პერსონალი გასაღებს იპოვიდა. ამასობაში ენაგადმოგდებული მავანი ბოლტონელი გამოჩნდა და თქვა, სამწუხაროდ, გასაღები ვერ ვიპოვეთო. ლოდინისგან გაავებულმა ბეტიმ ერთი კი შეჰკივლა და გასახდელის კარს შენგრევამდე ურტყა. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მაგრამ... ექიმი იქაურებმაც ვერ დააშოშმინეს და არც სტივენ რიდს უგდო ყური. ბეტიმ კარი შელეწა და ფეხბურთელს გასახდელში შეუძღვა.

ეს ამბავი, ცხადია, არ დაიმალებოდა და „ბოლტონის" პრეზიდენტ ფილ გერტსაიდის ყურამდე მიათრიეს. გერტსაიდმა მატერიალური ზარალი 200 გირვანქად შეაფასა და ბლექბერნელ კოლეგას გაუგზავნა, თქვენი კლუბის ექიმს ჩემგან გადაეცით, ახალი კარისთვის ფული გვჭირდებაო.

გაგა ხუციშვილი

პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური

პორტუ 4:1 სპორტინგი

1:0 დერლეი (3), 2:0 იანკაუსკასი (51), 3:0 რიბეირო (65), 3:1 რონემბაკი (80), 4:1 მაკარტნი (89)

მარიტიმუ	3	3	0	0	3:0	9
პორტუ	3	2	1	0	7:2	7
ბოავიშტა	3	2	1	0	3:0	7
ნასიონალი	3	2	0	1	6:1	6
ბრაგა	3	2	0	1	3:2	6
სპორტინგი	3	2	0	1	7:7	6
ბენფიკა	2	1	1	0	2:0	4
აკადემიკა	2	1	0	1	3:2	3
ალვერკა	3	1	0	2	1:2	3
ფერეირა	2	1	0	1	1:2	3
ბეირა მარი	3	1	0	2	1:3	3
გიმარაეში	3	1	0	2	1:3	3
მორეირენსე	3	1	0	2	1:3	3
ჟილ ვისენტე	2	0	1	1	1:2	1
ბელენენსეში	2	0	1	1	3:5	1
რიუ ავე	3	0	1	2	1:3	1
ლეირია	3	0	1	2	1:4	1
ამადორა	2	0	1	1	1:5	1

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

პორეელი სექსსიმბოლო ზღაპარში ლი ჩუნ სოს ბასკური ვნებანი

„რეალ სოსიედადის" კორეელი ვარსკვლავი ლი ჩუნ სო მისთვის უჩვეულო პრიმერადივი ზიონსა და ბასკურ-ესპანურ გარემოს ნელ-ნელა ეჩვევა. ლის ბავშვური ოცნებები უკვე ასრულდა. ოდესღაც პატარა სამხრეთკორეული ქალაქის ქუჩაში მობურთალი ბიჭუნა ევროპის ერთ-ერთ ბობოლა ჩემპიონატში თამაშობს. „ა ზიელ ბასკს" ესპანური „მარკა" ესაუბრა.



— რატომ მაინცდამაინც ფეხბურთი, კორეაში ხომ ყველაზე პოპულარული ბეისბოლია?

— მართალია, მაგრამ რადგან ჩემი ოჯახი ეკონომიურად დალხინებულთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა და ბეისბოლისთვის საჭირო ატრიბუტიკის შეძენაც არ შეეძლო, მეც იაფი ფეხბურთი ვარჩიე. თანაც, როდესაც ბავშვებთან ერთად ბურთს დავსდევდი, მავიწყდებოდა გაჭირვება.

— ჭუჩაში ბურთაობდით, თუ თავიდანვე რომელიმე გუნდში იყავით?

— ჯერ უბანში ვთამაშობდი, მერე სხვა რაიონის ბიჭებსაც ვეჯიბრებოდით, ბურთთან შეხებიდან 6 თვის შემდეგ კი ჩემს სანახავად საკმაოდ სახელიანი სელექციონერიც მოვიდა. ასე მოვხვდი კოლეჯის, უნივერსიტეტისა და „ჰიუნდაის" გუნდებში.

— თქვენ ერთი ჩვეულებრივი ღარიბი ბიჭიდან კორეის საფეხბურთო კერპად იქეცით. ამან ლი ჩუნ სოს ხასიათში და ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა?

— არა მგონია, ხასიათში რაიმე შემცვლოდეს. თუ კერპი და მისაბაძი გავხდი, როგორც თქვენ ამბობთ, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მოკრძალებული ადამიანი ვარ, ვიდრე აგრესიული. ლი ჩუნ სოს ცხოვრება კი ოდინდელზე ნამდვილად სხვანირია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღარიბი უკვე აღარ მეთქმის.

— ხომ არ გახსოვთ, პირველი თქვენი სოლიდური თანხა რაში დახარჯეთ?

— დედ-მამას სახლი და ორი კარგი მანქანა ვუყიდე. ბავშვობაში ხშირად ვხედავდი ჩემი თანატოლების მშობლების ლამაზ ვილებსა თუ მანქანებს, რასაც მე და ჩემი ოჯახი მოკლებულნი ვიყავით. სამი წლის წინ კი, როდესაც ამის საშუალება მომეცა, ყოველივე ეს დაუყოვნებლივ შევიძინე. ფულს ჩემი შრომით ვშოულობ და მისი დახარჯვა ახლობელი ადამიანებისთვის ნამდვილად არ მენანება.

— კორეაში როგორ ცხოვრობდით?

— პოპულარობის მიღწევის შემდეგ, რაღა დაგიმალოთ და, ცოტათი გამიჭირდა. ქუჩაში ფანატების ჯგუფები დამდევდნენ, ასე მეგონა, მთელი კორეა ჩემზე იყო შეყვარებული. სახლიდან მხოლოდ საღამოს თუ ვახერხებდი გამოსვლას და ისიც კონსპირაციულად.

— როგორ კონსპირაციულად?

— რომ არ ვეცნე „მატრიცას" აგენტივით ვიყავი — ქუდი, შავი სათვალე და კიდევ სხვა ათასი რამერუმე. სხვანაირად არ შეიძლებოდა.

— ესპანელი იმასებიც გაწუხებენ?

— არა, აქ ძალიან მშვიდად ვცხოვრობ. თქვენ წარმოიდგინეთ, საერონოდაც აპარატმომარჯვებული პაპარაცების გარეშე გავდივარ. ჯერჯერობით ასე მომწონს, თუმცა ვიცი, რომ დროთა განმავლობაში ესპანეთშიც მეყოლება ბევრი თაყვანისმცემელი.

— პრიმერადივიზიონის შესახებ რა იცოდით?

— არ ვიცი, ბედი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ კორეაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში როგორც კი ტელევიზორს ჩავრთავდი, ყოველთვის „რეალ სოსიედადის" მატჩებს უჩვენებდნენ. ბასკები რომ დამიკავშირდნენ, თავი ზღაპარში მეგონა და ამის დაჯერება არ შემეძლო.

— და ახლა თუ გჯერათ?

— მთლიანად ახლაც ვერ შეველჩვე. კორეაში ვამბობდი, სათამაშოდ ევროპაში უნდა წავიდე-მეთქი. ჰოლანდიურ და ინგლისურ გუნდებთან მქონდა მოლაპარაკებები და უცებ — „სოსიედადი" — ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი.

— ალბათ პირველად საწვრთნელი ვარჯიშების რიტმი შეგაშფოთებდათ...

— რიტმმა არა, მაგრამ ფიზიკურმა დატვირთვამ კი ძალიან შემაშფოთა. მცველები თავდაუზოგავად იბრძვიან, კორეაში კი მსგავსი არაფერი მინახავს. წვრთნის დროს თუ ასე ხდება, საპრიმერო მატჩებში უკვე ნამდვილ ომს უნდა ველოდოთ.

— კორეა და ესპანეთი ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული ქვეყნებია. სან სებასტიანში ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?

— სუფრასთან ხანგრძლივად ჯდომამ. ჩემს სამშობლოში ათიოდ წუთში ვსადილობთ ან ვსაუზმობთ, ესენი კი აუცილებლად 2-3 საათი უნდა იყვნენ მაგიდასთან. სან სებასტიანში ჩამოსვლის პირველ დღეს გუნდის პრეზიდენტსა და მის წარმომადგენლებს შევხვდი. ოფიციალური სადილი შუადღის ორ საათზე დაიწყო და ექვის ნახევარზე დასრულდა. ახლა ამაზე მეცინება, მაგრამ მაშინ ფრიად უცნაურად მეჩვენა. ესპანურ კომერციულ ცენტრებსაც და დიდ მაღაზიებსაც მივაქციე ყურადღება, უქმე დღეებში ყველა დაკეტილია. არადა, ჩვენში პირიქითაა — ყველაფერი შაბათ-კვირას იღება, რადგან სამუშაო დღეებში ხალხი იმდენად იტვირთება, რომ საყიდლებისთვის ველარ იცლის.

— ესპანურს თქვენი თარჯიმანი მინ პარკი გასწავლით, თანაგუნდელებთან ხშირი კონტაქტით კი აქაურ მაგარა-მაგარ გამოთქმებსაც აითვისებდით...

— ეგ ნაღდად არ მაკლია. კოვაჩევიჩი, კარპინი, დე პედრო და რომელი ერთი ჩამოვთვალო — მაგათთან ლაპარაკში ისეთ რაღაცეებს ვსწავლობ... მინ პარკის ესპანური სხვაა, ჩემი ახლანდელი ძმაკაცების კიდევ სულ სხვა.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ენის გაკვეთილებზე დავდივარ. აგრეთვე კინოთეატრებშიც, მაგრამ მაშინ მინს ძალიან უჭირს. რამდენიმე დღის წინ „ტერმინატორ 3-ზე" ვიყავით და იგი ვაიძულე. ჩემთვის ყველაფერი ზედმიწევნით და ხმამაღლა ეთარგმნა. საცოდავი ის ხალხი, ვინც ჩვენ გვერდით ისხდა.

— კორეაში სექსსიმბოლო იყავით. ესპანეთში რას აპირებთ?

— ოოო... იქ ხალხი სულ მოდელებთან და სილამაზის დედოფლებთან ერთად მხედავდა, შესაბამისად, ამხელა დაფასებაც. ახლა საცოლე არ მყავს, აქაური გოგონები კი გადასარევად ლამაზები არიან. სულ მცირე ხანი დამაცალეთ და... საერთოდ ვინ გითხრათ, რომ მე მარტო კორეის სექსსიმბოლო ვარ?

ევრო 2004. შესარჩევი მატჩები

6 სექტემბერი: ჰოლანდია – ავსტრია

ჰოლანდია

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (ფულემი), რონალდ ვატერეუსი (პსვ)

მცველები: მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა), ფრანკ დე ბური (გალათასარაი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა), ანდრე ოიგერი (პსვ), იაპ სტანი (ლაციო), ბუდეევინ ზენდენი (მიდლსბრო)

ნახევარმცველები: უესლი შნაიდერი (აიაქსი), პოლ ბოსველტი (მანჩესტერ სიტი), მარკ ვან ბომელი (პსვ), მარკ ოვერმარსი (ბარსელონა), ფილიპ კოკუ (ბარსელონა), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი)

თავდამსხმელები: პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერფაჰჩე), ანდრიენ რობენი (პსვ), ანდი ვან დერ მეიდე (ინტერი), როი მაკაი (ბაიერნი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი)

ლიხტენშტაინი – თურქეთი

თურქეთი

მეკარეები: რუშთუ (ბარსელონა), ომერი (გაზიანთეფორი), ზაფერი (ანკარაგიუჯუ)

მცველები: ბიულენთ ქორმაზი (გალათასარაი), ალფაი (ასტონ ვილა), ფათიჰ აკიელი (ფენერბაჰჩე), აჰმედ ილდირიმი (ბეშიქთაში), დენიზ ბარისი (გენჩლერბირლიგი)

ნახევარმცველები: ემრე (ინტერი), ოკანი (ინტერი), თუგაი (ბლექბერნი), ერგუნი (გალათასარაი), უზულმეზი (ბეშიქთაში), თუმერი (ბეშიქთაში), კარადენიზი (ტრაბზონი), ტაიფუნი (ესპანიოლი), უმით დავალა (ვერდერი)

თავდამსხმელები: ჰაქან შუქური (გალათასარაი), ჰასან შაში (გალათასარაი), თუნგაი (ფენერბაჰჩე), ოკან ილმაზი (ბურსასფორი)

რიდსდეილმა ბითუმად მაწანწალები იყიდა

დევიდ ოლირის პერსპექტიული და მომხიბლავი „ლიდსი" ბრინჯვივით რომ დაიშალა, გეხსომებათ. გუნდიდან ფეხბურთელები თხებივით გაყიდეს, ზოგმა კი თავს უშველა. მწვრთნელი ოლირი ბირმინგებში წავიდა და ახლა „ასტონ ვილას" წვრთნის.

გულშემატკივრების ყოველგვარი მცდელობა გუნდი შეენარჩუნებინათ, ამაო გამოდგა. მაშინდელი თავმჯდომარის, პიტერ რიდსდეილის მისამართით ლანძღვა-გინება არ დაიშურეს, მაგრამ მან დახარჯული ფულის უკან დაბრუნების მიზნით საუკეთესო მოთამაშეები მაინც გაასხვისა.

განრისხებულმა ქომაგებმა თავმჯდომარე აიძულეს, წასულიყო. ასეც მოხდა. რიდსდეილმა დაისვენა, საკუთარი კაპიტალი შეაკოწიწა და მეორე დივიზიონის „ბარნსლის" მიადგა. ქვედა დივიზიონელთა პატრონი, პიტერ დოილი, უფულობას უჩივის და კლუბის მყიდველს ეძებს. „ბარნსლიმ" 1998-99 წლების სეზონი პრემიერლიგაში გაატარა, ახლა კი ფინანსურად გასჭირვებია. დოილი თავის სეხნიას სიტყვიერად უკვე მოურიგდა და გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ყოფილი ლიდსელი „ბარნსლის" აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდება.

„ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებ. ლიდსში რაც შემემთხვა, დავივიწყე და ახლა შევეცდები, „მაწანწალები" („ბარნსლის" მეტსახელია) პრემიერლიგაში დავაბრუნო. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ორ წელიწადში არ მოხდება" — თქვა პიტერ რიდსდეილმა.

ვაჟა ხუციშვილი



სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური

6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	001	ქრიუ-პრესტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	002	ჯილინგემი-მილუოლი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	003	ნორვიჩი-დერბი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	004	რედინგი-უოლსოლი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
19.00	005	სტოკი-ბარნლი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური

6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	051	ალბიონი-ელგინი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93

საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	146	ლავალი-გრენობლი	1,9	2,7	4,6	1,11	1,34	1,7

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	147	ანჟე-ტრუა	2,8	2,7	2,6	1,37	1,34	1,32
23.00	148	შატორუ-კრეტეი	1,85	2,8	4,6	1,11	1,31	1,74
23.00	149	გენიონი-რუანი	2,1	2,7	3,8	1,18	1,35	1,57
23.00	150	ისტრი-კლერმონი	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76
23.00	151	ლე ავრი-ბეზანსონი	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
23.00	152	ლორიანი-ამიენი	1,9	2,8	4,4	1,13	1,32	1,71
23.00	153	ნანსი-სედანი	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
23.00	154	ნიორი-კაენი	1,8	2,7	5,0	1,08	1,32	1,75
23.00	155	სტ.ეტიენი-ვალანსი	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91

ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური

7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	219	მოსი-ოსლო იოსტი	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93
19.00	220	ჰიონეფოსი-რაუფოსი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
19.00	221	ჰამარი-ჰიოდი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
19.00	222	სტარტი-იორნი	1,45	4,4	5,0	1,09	1,12	2,34
19.00	223	ალტა-მანდალი	3,5	4,0	1,7	1,86	1,14	1,19
19.00	224	ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
19.00	225	სკეიდი-სტრიომსგოდსეტი	1,85	3,8	3,1	1,24	1,15	1,7
19.00	226	ბერუმი-ფრედრიკსტადი	3,4	3,8	1,75	1,79	1,15	1,19

სლოვაკეთი. I ლიგა. VI ტური

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	239	ჟილინა-რუჟომბეროკი	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14

ჩილე. კლაუსურა. V ტური

7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
01.00	243	კონსეპსიონი-კოლო კოლო	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41

ევრო 2004 შესარჩევი მატჩები

6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	310	შვედეთი-სან მარინო	1,01	11,0	40,0	1	1	8,62
	311	შვედეთი-სან მარინო 0:3	1,7	5,0	2,3			
19.00	312	შოტლანდია-ფარერები	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	313	შოტლანდია-ფარერები 0:1	1,35	3,5	5,0			
19.00	314	ანდორა-ხორვატია	20,0	7,0	1,1	5,18	1,04	1
	315	ანდორა-ხორვატია 1:0	5,0	3,5	1,35			
19.00	316	აზერბაიჯანი-ფინეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.00	317	ირლანდია-რუსეთი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.00	318	საქართველო-ალბანეთი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
20.00	319	ბულგარეთი-ესტონეთი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	320	ბულგარეთი-ესტონეთი 0:1	1,65	3,3	3,3			
20.30	321	ბელარუსი-ჩეხეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
	322	ბელარუსი-ჩეხეთი 1:0	2,7	3,2	1,9			
21.00	323	სომხეთი-საბერძნეთი	4,8	3,5	1,6	2,02	1,2	1,09
21.15	324	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
	325	უკრაინა-ჩრდ.ირლანდია 0:1	1,35	3,5	5,0			
21.30	326	მაკედონია-ინგლისი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
	327	მაკედონია-ინგლისი 1:0	3,0	3,4	1,7			
21.30	328	რუმინეთი-ლუქსემბურგი	1,01	12,5	30,0	1	1	8,82
	329	რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3	2,0	5,0	1,9			
22.30	330	ლატვია-პოლონეთი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	331	ისლანდია-გერმანია	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
23.00	332	ლიხტენშტაინი-თურქეთი	30,0	11,0	1,02	8,04	1	1
	333	ლიხტენშტაინი-თურქეთი 2:0	2,1	5,0	1,8			
23.15	334	სლოვენია-ისრაელი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.15	335	ბოსნია-ნორვეგია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.30	336	ჰოლანდია-ავსტრია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	337	ჰოლანდია-ავსტრია 0:1	1,65	3,3	3,3			
23.45	338	საფრანგეთი-კვიპროსი	1,05	9,0	25,0	1	1	6,61
	339	საფრანგეთი-კვიპროსი 0:2	1,65	5,0	2,4			
23.45	340	იტალია-უელსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	341	იტალი-უელსი 0:1	1,9	3,2	2,7			

მჩ შესარჩევი მატჩები

6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	370	არგენტინა-ჩილე	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	371	არგენტინა-ჩილე 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	372	ეკვადორი-ვენესუელა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	373	ეკვადორი-ვენესუელა 0:1	2,05	3,2	2,45			
05.20	374	პერუ-პარაგვაი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

7 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	375	ურუგვაი-ბოლივია	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	376	ურუგვაი-ბოლივია 0:1	1,75	3,2	3,0			
02.00	377	კოლუმბია-ბრაზილია	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26

ჰოკეი. გერმანია

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	1025	დიუსელდორფი-კრეფელდი	1,8	4,2	2,9	1,26	1,11	1,71

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	1026	ჰანოვერი-ინგოლშტადი	1,75	4,4	3,0	1,25	1,1	1,78
22.30	1027	ნიურნბერგი-კიოლნი	2,0	4,2	2,5	1,35	1,11	1,56
22.30	1028	მანჰაიმი-კასელი	1,6	4,6	3,5	1,18	1,09	1,98
22.30	1029	იზერლონი-ფრანკფურტი	1,9	4,2	2,7	1,3	1,11	1,64
22.30	1030	ჰამბურგი-აუგსბურგი	1,55	4,8	3,6	1,17	1,08	2,05
23.00	1031	აისბარენი-ფრაიბურგი	1,35	4,8	5,3	1,05	1,07	2,51

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
ბურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს



ბოლო დღეებია, ქართული პრესა ვლადიმერ სტეფანიას მომავალ კლუბზე მარჩიელობს. აქეთ „დალასიო", იქით „პორტლენდიო", „მემფისიო", ისევ „მაიამიო"... გუშინ თავად სტეფანიას რომ დავეკითხეთ ამის თაობაზე, გვიპასუხა: „გადახედეთ ნბა-ს გუნდების შემადგენლობებს და რომელსაც ცენტრის პოზიციაზე უჭირს, თითქმის ყველას ვუნდივარ. საქმე ისაა, ვინ რას მთავაზობს, ხეირიან პირობებზე კი ჯერ არავინ დამლაპარაკებია." ასე რომ, სადღეისოდ სტეფანიას ყველა სავარაუდო კლუბი, ასე ვთქვათ, პარიტეტულ მდგომარეობაშია. იმას კი ალბათ წყალი არ გაუვა, რომ ვოვა „მაიამიში" აღარ ითამაშებს. ახლახან ქართველი ცენტრი სკანდალურად დაშორდა ფლორიდულ კლუბს...

ამერიკული კლასიკა

სტეფანიამ და მაიამიმ ფულზე ხმამაღლა ილაპარაკეს. ვოვა წამოვიდა

— „მაიამიში"აღარ ვვარჯიშობ, საკუთარი მწვრთნელი დავიქირავე და სხვა დარბაზში გადავედი. ამ კლუბისგან ხეირიანი კონტრაქტის იმედი საბოლოოდ დავკარგე

— „მაიამის" ხელმძღვანელობას ელაპარაკე?

— ველაპარაკე, თუმცა ისედაც ვიცოდი, რომ მაიამელებს ფული გამოელიათ, ბოლო მილიონები უკანასკნელ ცენტამდე ლამარ ოდომის ტრანსფერს დაახარჯეს. აქამდე იმ იმედით ვიყავი კლუბში, რომ წინანდელთან შედარებით უკეთეს პირობებს შემომთავაზებდნენ, მაგრამ ამ საქმეს არა და არ დაადგა საშველი.

— კლუბის უფროსებმა რა გითხრეს?

— რა მითხრეს კი არა, პირდაპირ პროვოკაციაზე წამოვიდნენ. იცოდნენ, რომ ვეტერანის მინიმუმზე, დაახლოებით 800 ათას დოლარზე თანახმა არ ვიყავი, მაგრამ სპეციალურად ისევ ამდენი შემომთავაზეს, უცდიდნენ, წყობილებიდან როდის გამოვიდოდი.

— კონფლიქტი ხომ არ მოგსვლია?

— შესაძლოა ასეც ეწოდოს მე და „მაიამის" ბოსებს შორის ბოლო საუბარს. კლუბის ხელმძღვანელებმა რამდენიმე დღის წინ ოფისში დამიბარეს და ლექცია წამიკითხეს თემაზე: „ფულის ხარბი სტეფანია". პირდაპირ კონფლიქტისკენ მიბიძგეს. კიდევ ერთხელ გთავაზობთ ვეტერანის მინიმუმ ხელფასსო. ალბათ სულელი ვეგონე, ადრე ორ ამდენზე ვუთხარი უარი და ახლა როგორ დავთანხმდებოდი?!

— ეტყობა, სხვა რამ შელავათზე მოდიოდნენ, თორემ რატომ შემოგთავაზებდნენ მიუღებელ პირობებს?

— თავისუფალ აგენტთა ბაზრის გახსნიდან კარგა ხანი გავიდა, ახალი სეზონიც მოახლოვდა და ახლა კლუბები არიან კალათბურთელებზე უკეთეს სიტუაციაში. ანკესი გადმომიგდეს, ეგონათ, უკლუბოდ დარჩენის შემეშინდებოდა და მათ უვარგის კონტრაქტზე მოვაწერდი ხელს. ისე, ძალიანაც უნდათ, მეტი შემომთავაზონ, იციან, რისი მაქნისიც ვარ, მაგრამ ფული აღარ აქვთ. ოდომმა ნულზე დასვა „მაიამი".

— ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მაიამში" აღარ ითამაშებ?

— 99 პროცენტით ასეა.

— მრავალი კლუბის პატრონი ახსენებს შენს გვარს. ამ ბოლო დღეებში „პორტლენდიც" დაინტერესებულა.

— დაინტერესება აქ არაფერს ნიშნავს. იცი, რამდენ კლუბს ვუნდივარ განცხადებების დონეზე, ვისაც კი ცენტრის პოზიციაზე უჭირს? მაგრამ მე სერიოზულად ჯერ ერთსაც არ მივიჩნევ, მისაღებ კონტრაქტს არ მთავაზობენ და იმიტომ. „პორტლენდის" ამბავი კი ერთი თვისაა, სწორედ ამდენი ხნის წინ დამიკავშირდნენ ამ კლუბიდან, მაგრამ რა მერე? ჯერაც თავისუფალი აგენტი ვარ.

— სადღეისოდ ყველაზე მეტად რომელი კლუბი აქტიურობს?

— ჩემი ნალაპარაკევის შემდეგ ცოტა გაგიკვირდება და, ისევ „მაიამი". იმ მცირე კონფლიქტის შემდეგ მაიამელები დამიკავშირდნენ და შედარებით ტკბილად მელაპარაკნენ. ცოტა თანხაც გაზარდეს, მაგრამ ალბათ იმდენ ფულს ვერ გამონახავენ, მათთან თამაშზე რომ დამითანხმონ.

— რას ფიქრობ, საბოლოოდ როდის გაირკვევა შენი ახალი კლუბის ვინაობა?

— თავად არ ვიცი, ყველაფერია მოსალოდნელი. ისე დავიღალე, ეგებ თავში დამარტყას და რომელიმე კლუბთან ადრე უარყოფილ კონტრაქტსაც კი მოვაწერო ხელი.

— ასეთებია „დალასი", „მემფისი", „პორტლენდი", „მაიამი"...

— ჰო, ეგენი და კიდევ არაერთი. ვნახოთ...

ირაკლი პერტაია

ბავშვი უკვე სხვისას დარბის, აკვანი კი კვლავ ორწევა

აკადემიამ თავისი საქმე გააკეთა

ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის გუნდი, ბოლო სეზონში გულშემატკივართა უმრავლესობას თავი რომ შეაყვარა, მე-13 ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ისე გამოვიდა, თითქოს დავით უსტიაშვილის გუნდმა ერთი წელი იმიტომ იარსება, რომ ქართული კალათბურთისთვის პერსპექტიული ახალთაობა გაეზარდა და დაეკვალიანებინა



„აკადემიაში" გამოზრდილი გიორგი ცინცაძე მოსკოვის ცსკა-ში წავიდა

„აკადემია" 15-16 წლის ყმაწვილთა გუნდი იყო და წინა სეზონში არაერთი ხმაურიანი გამარჯვებაც მიითვალა. აკადემიელებს ჩემპიონატის დასაწყისში გაუჭირდათ, მერე კი, გამოცდილება რომ შეემატათ, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს პლეი ოფში გასვლაში მოცილე ყველა მეტოქე, თუმც ეს მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა. „აკადემია" იყო ის გუნდი, ხორვატ მწვრთნელ დრაჟენ ბრაიკოვიჩს „დინამოში" დებიუტი რომ ჩაუმწარა. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ აკადემიელები ქვეყანამ გაიცნო როგორც ფაჩულია-ცქიტიშვილის მომდევნო თაობა და ამათგან ორს — გიორგი ცინცაძესა და ვიქტორ სანიკიძეს ევროპის წამყვან ჩემპიონატებშიც კი გაუღეს კარი.

„აკადემიამ" თავისი საქმე გააკეთა, პერსპექტიული ახალთაობის ერთმა ნაწილმა ხომ ამ კლუბში საკმარისი გამოცდილება მიიღო — ამბობს აკადემიელთა ყოფილი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი — ძალიან გვინდოდა კლუბის შენარჩუნება, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს ვერ მოვახერხეთ. აკადემიელთა უმრავლესობამ წლეულს დაამთავრა სკოლა და ზოგმა სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, ზოგმაც — ტექნიკურში. ასეთ ვითარებაში ძნელია, მოთამაშეს საკუთარი სასწავლებლის გუნდში თამაში აუკრძალო, თანაც სტუ და თსუ გაცილებით ძლიერი და მდიდარი კლუბები არიან."

„აკადემიიდან" სტუ-ს ტატო ჯანეზაშვილმა და დავით გიორგობიანმა მიაშურეს, რომლებიც, სავარაუდოდ, ტექნიკოსთა დუბლებში ითამაშებენ, თსუ-ში კი უსტიაშვილის გუნდიდან ნოდარ ბექაური, დავით გვიმრაძე და ბესიკ ლეჟავა გადაბარგდნენ.

ერთწლოვან გუნდს ყველაზე მეტად მაინც გიორგი ცინცაძის და ვიქტორ სანიკიძის ეამაყება — პირველი ევროპის ერთ-ერთმა გრანდმა, მოსკოვის ცსკა-მ შეიმატა, მეორე კი ახლახან ფრანგული „დიჟონის" წევრი გახდა.

საკალათბურთო აკადემიაში კიდევ არაერთი ასაკობრივი გუნდი ვარჯიშობს, რომელთაგან ყველაზე უფროსებს, 1987 წელს დაბადებულებს, ალბათ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პარალელურ დუბლიორთა ტურნირში მოუწევთ თამაში.

ირაკლი პერტაია

ის ლანდია? დალასმა მეექვსე უცხოელი შეიმატა

„დალას მავერიკსი" რომ უცხოელებს კარგი თვალით უყურებს, ცნობილი ამბავია, მაგრამ ტეხასელები თუ თავს გაიგიჟებდნენ გადამთიელებზე, არავის ეგონა — მათ კონტრაქტი გაუფორმეს წლევანდელ დრაფტში ყველასგან (საკუთრივ დალასელთაგანაც) დაწუნებულ ვინმე ისლანდიელს, 196-სანტიმეტრიან ჯონ სტეფანსონს.

სტეფანსონი არათუ ამერიკაში, ევროპაშიც კი უიშვიათესად გასაგონი გვარი იყო. ამ ჩრდილოელ ჯეელს არც ერთ ხეირიან კლუბში არ უთამაშია. სამაგიეროდ, თავის მიყრუებულ ისლანდიაში ჯონს ყველა იცნობდა. სტეფანსონი ამ ციცქნა კუნძულის საუკეთესო კალთბურთელი გახდა 2002 წელს და ეროვნული გუნდის მისურაც რამდენჯერმე მოირგო.

„ისლანდიის სიამაყემ" ბოლო სეზონი გერმანულ „ტრიერში" გაატარა და საშუალოდ 13 ქულას, 2,8 მოხსნას და 2,7 პასს იხვეჭდა. სტეფანსონს არავინ იცნობდა ამერიკაში და ამიტომაც წლევანდელმა დრაფტმა ისე ჩაიარა, იგი ვერავინ შეამჩნია, ეგებ ლანდიც კი ეგონათ. და აი, გამოხტა ხუთლეგიონერა „დალასი" და არასაკალათბურთო ქვეყნიდან ამერიკაში ბედის საძიებლად ჩახეტებულ სტეფანსონს კონტრაქტი ჩაახუტა. ჯონი დალასელთა ამ ლეგიონს შეუერთდა: დირკ ნოვიცკი (გერმანია), სტივ ნეში (კანადა), ედუარდო ნაბერა (მექსიკა), ტარიქ აბდულ-ვაჰადი (საფრანგეთი) და ირჟი ველში (ჩეხეთი).



რას გაუგებ დალასელებს?!

დარკოს დარიც დამდგარა

მილიჩიჩმა შინაურებს თავი დაალწია



წლევანდელი დრაფტის ყველაზე წარმატებული ევროპელის ნბა-ში გადასვლას საშველი დაადგა. სერბმა დარკო მილიჩიჩმა სასამართლოსგან მიიღო ნებართვა და უახლოეს დღეებში „დეტროიტს" კონტრაქტით შეეკვრება.

არადა, ორიოდ თვის წინ ნიუ იორკში ისე ხმაურიანად დაიწყო სასამართლო პროცესი, რომ მილიჩიჩის გადეტროიტელება ამერიკელეთისთვისაც ძნელ საქმედ ჩანდა. დრაფტის მეორე რჩეულს მშობლიურ „ვრშაჩთან" 2009 წლამდე გაფორმებული კონტრაქტი აღმოაჩნდა და ამ აფიორისთვის სერბული კლუბი მილიჩიჩის აგენტს 10 მილიონ დოლარს სთხოვდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მილიჩიჩს „დეტროიტთან" კონტრაქტის გაფორმების უფლება მიეცა, თუმც სადამსჯელო სანქციები ვის და რა ოდენობით დაეკისრა, არ გახმაურებულა. მხოლოდ ის გაცხადდა, რომ მილიჩიჩმა 6 წლის განმავლობაში თავის ყოფილ სერბულ კლუბს გარკვეული ოდენობის თანხა უნდა უხადოს, ხოლო რა ბედი ეწია წოწოლა ბალკანელის ვირეშმაკა აგენტს, ამერიკული საagენტოები არ იტყობინებიან. მილიჩიჩი ისე გაუღიზიანებია სერბული კლუბის ატეხილ სასამართლო პროცესებს, რომ შვედეთში ამ დღეებში დასაწყებ ევროპის ჩემპიონატზე სერბია-ჩერნოგორიულ ნაკრებში თამაშს უარობს.

ირაკლი პერტაია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

თვენახევრიანი სავალდებულო უვარჯიშებლობის შემდეგ მეფორმულეები წლევანდელი ჩემპიონატის დასკვნითი სამი ეტაპის წინ ტესტირებას შეუდგნენ. სეზონის მე-14 ეტაპი 14 სექტემბერს იტალიურ „მონცაზე" გაიმართება. გუნდების უმეტესობამაც ამ ყველაზე ჩქაროსნულ ტრეკს მიაშურა მოსამზადებლად და კონსტრუქციული სიახლეების გამოსაცდელად

ფრანგული სიცხეში დიდდება შუმახერი შანსებს ითვლის

ცხადია, იქაა „ფერარიც", რომელსაც ბოლო ორი ეტაპის ჩაფლავებით როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ჩათვლაში, ისე საფუძვლიანად შეერყა საჩემპიონო ტახტი, რომ მშობლიურ „მონცაზე" ხელმოცარვის შემთხვევაში დაემშვიდობება კიდეც სამწლიან აბსოლუტურ ჰეგემონიას. მიხაელ შუმახერმა „ჰუნგარორინგზე" ბოლო ხუთ წელში მისთვის ყველაზე უბადრუკი, მერვე ადგილი დაიკავა. შუი ჯერჯერობით ინარჩუნებს ლიდერობას, მაგრამ კუდში მიმჯდარ უილიამსელ ხუან-პაბლო მონტოიას მხოლოდ ქულითღა უსწრებს, ხოლო მაკლარენელ კიმი რაიკონენს ოდენ ორით.

რაც შეეხება კონსტრუქტორთა თასს, აქ სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბომ უნგრეთის დიდი პრიზის შემდეგ სკუდერიელებს უკვე რვა ქულით გაასწრო. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ეროვნულ ავტოდრომზე იტალიელთა სიამაყე „ფერარის" პრესტიჟის გადარჩენის იქნებ ბოლო შანსი აქვს.

„მონცაზე" ოთხდღიანი ტესტირებისას „სისხლისფერები" აეროდინამიკურ სიახლეებსაც გამოცდიან. მათ უმთავრეს სატკივრად კი კვლავ რჩება იაპონური „ბრიჯსტოუნის" საბურავები, რომლებიც ბოლო დროს ხარისხითაც და საიმედოობითაც კატასროფულად ჩამოუვარდება ფრანგულ „მიშლენს", სკუდერიელთა მტრების „უილიამსის", „მაკლარენის" და „რენოს" „ფეხსაცმლებით" მომმარაგებელს. ისე, სწორედ ბორბლებთან დაკავშირებით გავრცელდა ხმები, წარმატების მისაღწევად „მიშლენი" აკრძალულ ხერხებს იყენებსო. ფრანგული საბურავები რბოლისას სიცხისგან თურმე ისე ფართოვდება, რომ დასაშვებზე თითქმის ორი სანტიმეტრით განიერდება, შედეგად იზრდება ასფალტთან შეჭიდულობა, შესაბამისად, სიჩქარეც და მწიფდება საფუძვლიანი მოსაზრება — ფერარელთა კონკურენტების წარმატებებიც ძირითადად სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებულიო.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) ამ მიზეზზე ერთი ანონიმური წერილის შემდეგ გაამახვილა ყურადღება. მართალია, „ჩამშვების" ვინაობას არ აცხადებენ, მაგრამ ეჭვი, ბუნებრივია, „ფერარიზე" აქვთ. ფედერაციამ „მიშლენის" კლიენტებს ულტიმატუმი წარუდგინა, იტალიაში რბოლის შემდეგ წინა საბურავების სიგანე ზღვრულ 27 სანტიმეტრზე მეტი თუ იქნება, დისკვალიფიკაცია არ აგცდებათო. კლიენტები ბრალდებას, რა თქმა უნდა, უარყოფენ და „იტალიის დიდი პრიზის" ბოიკოტითაც კი იმუქრებიან, ჩვენს ბორბლებს მთელ სეზონში ეჭვი არ გამოუწვევია, ყველაფერი ნორმაში იყო და ახლა რომც მოვინდომოთ, ვერაფრის შეცვლას ვერ მოვასწრებთ, რადგან სამონცო საბურავების სრული პარტია თითქმის უკვე მზადააო. კონფლიქტის მოსაგვარებლად დრო ჯერ კიდევ არის, ვნახოთ...

„მონცაზე" ტესტის პირველ დღეს საუკეთესო შედეგი მაკლარენელმა დევიდ კულჰარდმა აჩვენა. შოტლანდიელს მცირედ ჩამორჩნენ რალფ და მიხაელ შუმახერები. ვარჯიშის მიწურულს რალფი ავარიაში მოჰყვა — მისი „უილიამსი" თითქმის 300-კილომეტრიან სიჩქარეზე რამდენჯერმე ამოტრიალდა და გვარიანადაც დაილეწა. საბედნიეროდ, მრბოლი არ დაშავებულა, თუმც ყოველი შემთხვევისთვის მაინც გააქანეს მილანის კლინიკაში გამოსაკვლევად.

რაც შეეხება უფროს შუმახერს, „მონცაზე" გავარჯიშებამდე მან იქვე, იტალიის ტერიტორიაზე ჯუჯა სან მარინოში შეიარა, სადაც ამ ერთი ციცქნა ქვეყანამ თავისი სრულუფლებიანი ელჩობა უბოძა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ეს პატივი ხვდა არა იმდენად საფორმულო მიღწევების, არამედ ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობისთვის.

ამასობაში ამერიკულმა პრესტიჟულმა ჟურნალმა „ფორჩუნმა" პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. 40-წლამდე ასაკის მილიონერთა სიაში 34 წლის მიხაელ შუმახერს 750-მილიონდოლარიანი მონაგრით მე-16 ადგილი უჭირავს, ლიდერი კი შუმიზე ორი წლით უფროსი, ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ჩელსის" რუსი მფლობელი რომან აბრამოვიჩია, ვისი ქონებაც 8,3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

მიმდინარე საფორმულო სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ სამი რბოლაა, FIA-მ კი უკვე გამოაქვეყნა საგაისო, მსოფლიოს 55-ე ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი:

7 მარტი	ავსტრალია
21 მარტი	მალაიზია
4 აპრილი	ბაჰრეინი
18 აპრილი	ესპანეთი
25 აპრილი	სან მარინო
9 მაისი	ევროპა
23 მაისი	მონაკო
20 ივნისი	აშშ
4 ივლისი	საფრანგეთი
11 ივლისი	დიდი ბრიტანეთი
25 ივლისი	გერმანია
15 აგვისტო	უნგრეთი
29 აგვისტო	ბელგია
12 სექტემბერი	იტალია
26 სექტემბერი	ბრაზილია
10 ოქტომბერი	იაპონია
24 ოქტომბერი	ჩინეთი

2004 წელს 17 დიდი პრიზი გათამაშდება, რაც წლევანდელზე ერთით მეტია. „სამეფო რბოლებს" პირველად უმასპინძლებენ ბაჰრეინი და ჩინეთი, კალენდარში დაბრუნდა ბელგიის ლეგენდარული სპაფრანკორშამის ეტაპი, სამაგიეროდ, თამბაქოს რეკლამის აკრძალვას შეეწირა ავსტრია და კანადა.

გია ახალაძე



მიხაელ შუმახერს საქმეები აეწყო



კონფლიქტის მიზეზი „მიშლენის" საბურავების სიგანეა

US OPEN 2003

ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 17 074 000 $



REUTERS ნიუ იორკიდან

ანდრე აგასი „ფლეშინგ მედოუზის" ეკრანზე და ცარიელ ტრიბუნაზე

აგასიმ წყალზე გაიარა

მეოთხე წრე

კაცები

ანდრე აგასი (1, აშშ) — ტაილორ დენტი (აშშ) 6:7 (5:7), 6:4, 7:5 დენტმა შეწყვიტა

ვერ იქნა და ღრუბელი ვერ გადაიყარა მსოფლიოს სატახტომ. ვერც „ალაზნის" ტიპის დანადგარებმა უშველა საქმეს და ვერც ჩოგნაობის მოყვარულ მჩხიბავთა კოლექტიურმა შამანობამ — ეს დღეები ნიუ იორკში კვლავაც ბარაქიანად წვიმდა და იქაური „ამინდის ბიუროს" გუშინდელი ვარაუდისამებრ, ვინძლო, ამ მომენტამდეც არ გადაელოს.

არადა, აურაცხელ საწყვილოსნო და ზედაც უწლოვანთა შეხლებს თუ არ გავითვალისწინებთ, იმ დღეს კაცთა 8, მდედრთა 2 სამეოთხეწრეო და მდედრთავე ორი სამეოთხედფინალო მატჩიც უნდა ჩათამაშებულიყო.

ჩათამაშებით კი მხოლოდ ერთი ჩათამაშდა — კაცთა შებერებული უსტაბაში ანდრე აგასი 22 წლის თვისტომ ტაილორ დენტს ერკინებოდა და, ამ უკანასკნელს ბურთაობა მყესის ტრავმის გამო რომც არ შეეწყვიტა, ალბათ მაინც მოერეოდა.

მოკლედ — ხანგრძლივი ნალექიანობიდან ყველაზე მშრალი სწორედ ამქრის პირველოსანი გამოძვრა. ეს ერთგვარად სამართლიანიც იყო, რაკილა პირველი, ვისაც წვიმის გამო ორი დღის — შაბათისა და კვირის გადაბმა მოუხდა, სწორედ ჯადო არმენოამერიკელი იყო.

წვიმას რომ არ ეძალა, მას დენტთან უკვე ორშაბათსვე უნდა ეპაექრა და ისე გამოვიდოდა, რომ კორტზე ზედიზედ სამი დღის განმავლობაში მოუწევდა გასვლა, რაიც მისი ასაკის კაცისთვის, დაგვეთანხმებით, არც ისე სახალისო საქმე უნდა ყოფილიყო.

ისე კი, ეს აგასის მე-200 სლემგამარჯვება გახლდათ და, უკეთუ მას ჯამში ამ პირველობის მოგებაც მოუხერხდება, 203 სლემგამარჯვებით ყველა დროის ჩამონათვალში პიტ სამპრასს გაუტოლდება. პიტზე მეტი ახლა მხოლოდ ჯიმი კონორსსა და ივან ლენდლს მოეძევებათ.

სხვაფრივ — მეოთხედფინალში აგასი ალბათ უჩაუქეს არგენტინელ გილერმო კორიას შეხვდება, ვისაც წვიმამ ჩოგანი იმ დღეს მაშინ გააგდებინა, შვედ იონას ბიორკმანს 6:2, 2:0 რომ უგებდა.

ცის აპკის მორიგი გარღვევის მომენტში წინ იყვნენ ხუან კარლოს ფერერო და პარადორნ შრიჩაფანიც. პირველი 6:2 უგებდა ტოდ მარტინს, მეორე კი 4:3 ამარცხებდა ლეიტონ ჰიუიტს. როდიკ-მალისის, ფედერერ-ნალბანდიანის, მოია-ელ აინაუისა და შუტლერ-შალკენის წყვილებმა კი კორტზე გასვლა ეგრეც ვერ მოასწრეს.

შეგახსენებთ, 2001 წლის ჩემპიონ ჰიუიტს იქ სამჯერ უთამაშია და სამჯერვე, სულ მცირე, ნახევარფინალში გასულა; ნალბანდიანი ფედერერს აქამდე ოთხჯერ შეხვედრია და ოთხჯერვე მოუდრიკავს, ორი მოდრეკა ამ სეზონშიც მოხდა — ერთხელ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში, მეორეჯერ კი სულ ახლახან, ცინცინატურ მასტერსტურნირზე. ნალბანდიანს ფედერერი აშშ-ის 1999 წლის ღია პირველობის იუნიორთა ფინალშიც კი უძლევია.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, იქ ჯერ კიდევ ორშაბათიდან მომდინარე სამეოთხწრეო მატჩებში ბოლო 16-ეულს შერჩენილი უკანასკნელი რუსგოგო ანასტასია მისკინა მარი პირსს 7:6 (7:2), 2:0 ამარცხებს, აი სუგიამას კი სულ ცოტა დააკლდა, რათა ფრანჩესკა სკიავონესთვის საქმე სამშაბათსვე მოეყომარებინა — 7:6 (7:5), 5:4.

კლაისტერს-მორესმოსა და დევენპორტ-სუარესის სამეოთხედფინალო განდაგანები კი იმ დღეს საერთოდ არ დაწყებულა.

მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ არც კიმს და არც მორესმოს ამ ტურნირზე ჯერ ერთი სეტიც არ ჩაუგდიათ. კიმი ამელის „საკარიეროდ" 3:2 უგებს, თუმცა მათი იქაური შარშანდელი შეხლა ფრანგის გამარჯვებით დასრულდა...

სულ ბოლოს კი ისევ წვიმის თაობაზე, უფრო სწორად, იმაზე, რომ — განსხვავებით უიმბლდონისგან — ფლეშინგ მედოუზზე წვიმისას კორტებს არაფრით ფარავენ.

„ჩვენ ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ვამბობდით, რომ რაღაცის გადაფარებაა საჭირო — წვიმის პარალელურად ბუტბუტებს მარტინა ნავრატილოვა — მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა. არადა, წვიმაზე მეტი დრო ნაწვიმევს აქაურობის გამშრალებას მიაქვს. გუშინ, მაგალითად, ორი საათი წვიმდა, კორტების გაშრობას კი ზუსტად სამჯერ მეტი დრო მოანდომეს."

ორგანიზატორები ყველას ჰპირდებიან, რომ ტურნირი მაინც კვირას გასრულდება, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, კაცთა ფინალი, პირველად 1987 წლის შემდეგ, ორშაბათს უნდა გაიმართოს.

ლევან ძიძაურაძე



მყინვარწვერი

დასასრული
დასაწყისი „სარბიელი“ №161

რევიზია მყინვარწვერზე
ქართველები მთაში ალპინიზმამდე დადიოდნენ

მყინვარწვერიდან დაბრუნებულმა გიორგი ნიკოლაძემ მისივე მონაწილეობით შექმნილი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პირველსავე სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელიც ამ მწვერვალზე ასვლას მიეძღვნა. მოხსენებამ და თავად ასვლამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში და უცხოეთშიც. გიორგი ნიკოლაძე 1926 წელს ამ მოხსენებით გამოვიდა ლონდონშიც, სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე. მის მოსასმენად იქ საგანგებოდ ჩავიდა 80 წელს მიტანებული სერ დუგლას ფრეშფილდი, რომელმაც ჩვენი მყინვარწვერი 1867 წელს დალაშქრა და იგი ამ მწვერვალზე პირველამსვლელად ითვლება. თუმცა ქართველებს მოგვეპოვება ინფორმაცია, რომ ამ საქმეში პირველობა ინგლისელს კი არა, ქართველს ეკუთვნის, რომლის კვალზეც წასულმა მისმა თანამემამულეებმა მოგვიანებით დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს.

საქართველოს მთამსვლელთა დიდი გამარჯვებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ჩვენი მთების სიახლოვით, მეორე მხრივ — ქართველ მთიელთა (სვანების, რაჭველების, მოხევეების, ხევსურების, თუშების) მთამსვლელური ჩვევებით, რომლებსაც ფესვები უხსოვარ დროში გაუდგამს.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც დღევანდელ ალპინიზმში საბასდროინდელივე მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, „წრიაპი“ — „ეს არის რკინა შემზადებული კბილებიანი, ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოსა მავალსა კაცსა ფერხი არა მოუცურდეს“. ან კიდევ „წერაქვი“ — დღევანდელი წერაყინი — საბას განმარტებით არის „ცალგნით სათხრელი აქუნდეს კიდეთ დასარღვევად“.

ჩვენს წინაპრებს უხსოვარ დროშიაც რომ ჰქონდათ მთაში სიარულის ჩვევები, ამაზე მეტყველებს მრავალი ლეგენდა, ლეგენდებში კი ხშირად ხომ სიმართლის ანარეკლია. ყოველ შემთხვევაში, ქართულ მითოლოგიაში გვხვდება მთაში სიარულის ამბები, ეს კი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მითოლოგიური ამირანის მამას, როცა მთაში სანადიროდ წასულა და ფრიალო კლდესთან გასჭირვებია, რკინის იარაღი მოუმარჯვებია, საფეხურები გაუჭრია და მწვერვალზე ასულა.

ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი, როცა სვანეთის ყოფა-ცხოვრებას აღწერს, ამბობს: „...მწვერვალები ზამთრობით გაუვლელია, ხოლო ზაფხულობით ადიან ფეხებზე ლურსმნებით დაჭედილი დამუშავებული ხარის ტყავებამოკრულები... ხოლო ეს ტყავები სიფართოვით დაფის ოდენაა, და აკეთებენ ამას თოვლისა და ყინულის გამო...“

დავით აღმაშენებლის თანამედროვე მემატიანე მოგვითხრობს ამბავს, თუ როგორ შემოესია საქართველოს თურქ-სელჯუკთა ლაშქარი. იმ დროს ქართველთა მეფე აფხაზეთში იყო დაზამთრებული. დავით აღმაშენებელი „წარმოვიდა მსწრაფულ აფხაზეთით თოვლითა საშინელითა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა ნაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“.

საქართველოს ისტორიიდან მრავლად შეიძლება გახსენება ისეთი მაგალითებისა, რომლებშიც მოთხრობილია ჩვენი წინაპრების მთაში თუ მთის წვერზე სიარულის გამოცდილება.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ნათქვამია, მღვდელი იოსებ მოხევე მყინვარწვერზე ავიდაო.

მოხევეთა გადმოცემით, მყინვარწვერზე ძმისწულთან ერთად ასულა ბერი მამუკაც, რომლის სიტყვები, ანუ მწვერვალის აღწერილობა, დღემდე ახსოვთ მოხევეებს. მამუკას უთქვამს: „მთის წვერი საგანგებოდ გადაჭრილსა ჰგავს და წარმოადგენს კალოსავით მრგვალ და ხელის გულივით სწორ ვაკეს. მწვერვალი „წვრილის“ თოვლით არის შეფერილი ისე, რომ გეგონება, თოვლის კორკოტი ჰყრიაო“.

ზუსტად ასეთია მყინვარწვერი.

მაგრამ დღეს დანამდვილებით არავინ იცის, თუ რამ აიყვანა ისინი მწვერვალზე — ღმერთთან მიახლოების სურვილმა, რათა 5034 მეტრის სიმაღლიდან უკეთ შეესმინა მათი ლოცვა-ვედრება მამაზეციერს თუ, უბრალოდ, ისინი ცნობისმოყვარეობამ დააყენა ამ სახიფათო გზაზე, რათა დაენახათ, რა იყო ამ მთის გადაღმა. ან იქნებ ისინი სულაც სპორტული ინტერესის გამო ავიდნენ მწვერვალზე?

ასეა თუ ისე, „კალმასობაში“ ნათქვამია, რომ როცა იოსებ მოხევე ასულა „მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა“, იქ უნახავს აბრაამის კარავი, რომლის ნაჭერიც ერეკლე მეფისთვის მიურთმევია.

მთელ ამ ისტორიაში საინტერესო ისაა, რომ იოსებ მოხევე მყინვარწვერზე ერეკლე მეორის მეფობის ხანაში ავიდა. სწორედ იმ ხანად ალპებში, დასავლეთ ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4820მ) შვეიცარიელ სწავლულ ოსკარ ბენედიქტ სოსიურის ინიციატივით პირველნი ავიდნენ ფრანგი გლეხი ჟაკ ბალმა და ექიმი პიკარი, რითაც სათავე დაუდეს მსოფლიო ალპინიზმის ისტორიას. ზუსტადაა ცნობილი მათი ასვლის თარიღი — 1786 წელი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ივივეს ვერ ვიტყვით იოსებ მოხევის ასვლის თარიღზე.



გახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი, რომლებიც მყინვარწვერზე ქართული ალპინიზმის დაბადებამდე დადიოდნენ

ვინ იცის, იქნებ იოსებ მოხევე მყინვარწვერზე უფრო ადრე ავიდა, ვიდრე ის ფრანგები მონბლანზე? ან იქნებ მყინვარწვერზე იოსებ მოხევეზე ადრე სხვა მისი თანამემამულეც ავიდა? ყოველ შემთხვევაში, დიდი ილიას „განდეგილში“ მოხსენიებული ლეგენდარული გამოქვაბულის არსებობა მყინვარწვერის ფერდობებზე საბოლოოდ დადასტურდა 1947 წელს, როცა ალექსანდრა ჯაფარიძის ექსპედიციამ იგი 4 100 მეტრის სიმაღლეზე აღმოაჩინა, სადაც შუასაუკუნეების ნივთები და მონეტებიც ნახეს.

ეჭვგარეშეა, რომ იქ, გერგეტის მყინვარის თავზე აღმართულ მყინვარწვერის ფერდობზე, დაახლოებით 400 მეტრის სიმაღლეზე გამოკვეთილ გამოქვაბულში, მის ქვემოთ ნაგებ ბერების აბანოშიც საკმაოდ ინტენსიური მიმოსვლა უნდა ყოფილიყო და შეუძლებელია, იქ ასულ კაცს უფრო ზემოთაც არ ევლო მანამ, სანამ შეძლებდა.

მყინვარწვერს რომ თავი დავანებოთ, არანაკლებ საინტერესო მწვერვალია ბრუტსაბძელა, რომელიც კარგად ჩანს ქართლის ველიდან ჩრდილოეთით. ქართლში მას იალბუზსაც უწოდებენ, თუმც ევროპის ამ უმაღლეს მწვერვალზე იგი გაცილებით ნაკლებია და მისი სიმაღლე 3670 მეტრია. ლევან მარუაშვილი თავის წიგნში „ათი წელი მწვერვალთა გიპნოზის ქვეშ“ მოგვითხრობს თანაგუნდელებთან ერთად ბრუტსაბძელაზე პირველასვლაზეც, რომელიც 1929 წელს განახორციელეს. ზედ მწვერვალზე მათ ნახეს ძელები, რომელთა ასაკი საუკუნეებს ითვლიდა და გაცილებთ ძველი იყო, ვიდრე ბეთლემში აღმოჩენილი ნივთები.

სავარაუდოდ, ბრუტსაბძელაზე ნანახი ძელები საკულტო დანიშნულებისა იყო. ვარაუდობენ, რომ ამ ძელებით აგებული იყო ან სალოცავი, ან საფლავი.

ოთარ გიგინეიშვილი თავის ბროშურაში „მთამსვლელობა საქართველოში“ მოგვითხრობს:

„ერთხელ, დვალეთში, არდონის ხეობაში ლაშქრობის შემდეგ დაღლილები სახლის ბანზე ვისვენებდით. ხანში შესული ჩვენი მასპინძელი მრავალი ამბის მომსწრე და მოწმე იყო, საუკუნეთა სიღრმიდან მოსული მრავალი გადმოცემა ახსოვდა, თამარი კი მისი ხატი იყო, სალოცავი.

„მტრებს რაიმე რომ არ ევნოთ თამარის წმინდა ცხედრისთვის, ის ბრუტსაბძელაზე აიტანეს და ჩვენი ხეობა მას დარაჯობდა“-ო — გვიამბო მასპინძელმა, ლიახვის სათავეში კი ერთი ღრმად მოხუცი მიამბობდა:

„არწივმა თამარ მეფეს ოქროს ქოში მოსტაცა, ბრუტსაბძელაზე აიტანა და იქ დაასვენა. ახლაც იქ არის, ცისკრის ვარსკვლავის სხივზე ელვარებს განთიადის წინ“.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ გიორგი ნიკოლაძის 1923 წლის ლაშქრობამდე ქართველები მწვერვალებზე მრავალი წლითა და საუკუნეებით ადრეც დადიოდნენ. თავად ნიკოლაძის ჯგუფში გამყოლებად მყოფი აბზი ბზურთანოვი, იაგორ კაზალიკაშვილი და ლევან ქუშაშვილი, აგრეთვე კახა წიკლაური, იოსებ ხუციშვილი, გიორგი ქავთარაძე და სხვები, არაერთხელ ასულან მყვინვარწვერზე. უცხოელ მთამსვლელებს ჩვენს მწვერვალებზე განხორციელებულ ასვლებში თან ახლდნენ ქართველი მთიელებიც, რომელთა სახელები, როგორც მთამსვლელებისა, გადამთიელთაგან განსხვავებით ისტორიას არ შემორჩა.

თავის მხრივ, ქართველებს 1923 წლამდე დაულაშქრავთ უცხოეთის მწვერვალებიც, მათ შორის თავად გიორგი ნიკოლაძესაც, რომელიც თავის დასთან ერთად შვეიცარიის ერთ-ერთ პიკზე ავიდა.

ამ საქმეში პიონერი იყო ერეკლე ლუკაშვილი, რომელიც 1904 წელს საგანგებოდ ეწვია შვეიცარიის ალპებს და იქ რამდენიმე მწვერვალზეც ავიდა.

ასე რომ, 1923 წლის ლაშქრობა მყინვარწვერზე მწირ ნიადაგზე არ განხორციელებულა და ქართული მთამსვლელობის ისტორია გაცილებით ხანდაზმულია.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტო

ქართველების აზრი ინგლისზე SOS

ულოდ სორელს ნაკრებში ლუდოვიკო მეთხუთმეტეები არ სჭირდება

გუშინ იტალიაში ჩასული საქართველოს ნაკრები ტურინის მახლობლად პატარა ქალაქ ასტიში დაბინავდა. 6 აგვისტოს ჩვენები იტალიის ნაკრებს გაუმართავენ ტესტ მატჩს. მსოფლიოს თასის წინ ბორჯღალოსნებისთვის ეს იქნება ბოლო სერიოზული სპარინგი. „სკუადრა აძურას“ შემდეგ კლოდ სორელის სამწყსო ფრანგულ კლუბ „ნიმს“ გაეჯიბრება. სორელი ამ მატჩის შემდეგ დაასახელებს იმ 30 მორაგბეს, ავსტრალიაში მსოფლიოს თასზე რომ წაიყვანს.

სორელს გუშინ იტალიაში დავუკავშირდით...



პატრიკ ფორომ და კლოდ სორელმა საავსტრალიო შემადგენლობა თითქმის შეარჩიეს

— როგორ იმგზავრეთ?

— კარგად. მართლია, საფრანგეთიდან იტალიაში ავტობუსით შვიდი საათი ვიმგზავრეთ, მაგრამ არც ისე დავლილვართ. გზადაგზა ვჩერდებოდით და ჭამას ვასწრებდით, მოკლედ კარგი ექსკურსიაც გამოგვივიდა.

— იტალიაში როგორ მოეწყვეთ?

— ტურინიდან 70 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ასტიში დავბინავდით. მასპინძლებმა ძალიან კარგად მიგვიღეს, სასტუმროთი და პირობებით კმაყოფილები ვართ.

— ფრანგული შეკრებით კმაყოფილი ხართ?

— დიდი ხანია, არ მოგვცემია საშუალება, ყველა მოთამაშისთვის ერთად მოგვეყარა თავი, ასე რომ, მონპელიეს შეკრება ძალიან სასარგებლო იყო.

— გუნდში როგორი განწყობაა?

— ბიჭებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რისთვის და რატომ ემზადებიან. საქმეს ყველა მონდომებით ეკიდება და, რაც მთავარია, გუნდში საბრძოლო მზადყოფნაა.

— შეკრებაზე ვინმე ხომ არ დაშავებულა?

— ირაკლი გუნდიშვილი ისევ ბარძაყს მკურნალობს, ათ დღეში ალბათ მწყობრში ჩადგება.

— იტალიელთა ბოლო თამაშები თუ გაარჩიეთ?

— იტალიის და ირლანდიის ბოლო ტესტი დეტალურად განვიხილეთ. ვიმსჯელეთ იტალიელების სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

— იტალიასთან ტესტის მერე რა გეგმები გაქვთ?

— შვიდ სექტემბერს საფრანგეთში დავბრუნდებით, ათში კი „ნიმს“ ვეთამაშებით. ამ სპარინგის მერე დავასახელებ იმ 30 მორაგბეს, ვინც ავსტრალიაში წავა.

— დიდი ხანია, ნაკრებში ათი ნომრის პრობლემაა. პალიკო ჯიმშელაძეს ტრავმები შეეჩვია, მისი სრულფასოვანი შემცვლელი კი ვერ მოიძებნა. შეკრებაზე ამ ამპლუის მოთამაშეები დათო კიკნაძე და მერაბ კვირიკაშვილი გამოიძახეთ. კმაყოფილი ხართ მათი თამაშით? რატომ არ დაუძახეთ ბობა კვინიხიძეს?

— ნაკრების კანდიდატები მე და უკანა ხაზის მწვრთნელმა პატრიკ ფორომ ავარჩიეთ. მათი თამაშით და მომზადებით სავსებით კმაყოფილნი ვართ. რაც შეეხება ბობა კვინიხიძეს, როგორც მოთამაშე იგი ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

— იტალიასთან მთავარი დამრტყმელი ვინ იქნება?

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, არჩევანს ურჯუკაშვილს, ჯიმშელაძეს და კიკნაძეს შორის გავაკეთებ.

—15 ნომრად ვის დააყენებთ?

— ბადრი ხეხელაშვილსა და ბესიკ ხამაშურიძეს შორის ავირჩევ. კიდევ ერთი კანდიდატი მალხაზ ურჯუკაშვილი ამ ამპლუაში ძალიან სუსტია, ვერ არჩევს სწორ პოზიციას, ამიტომ მისი ფულბეკად დაყენება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— ვასილ კაკაძემ „ტიროსთან“ და „ბიარიცთან“ რატომ არ ითამაშა?

— მხარზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ვასვენებთ. „ნიმთან“ აუცილებლად ითამაშებს.

— თუ ლევან ცაბაძემ ნაოპერაციები მხარი მოირჩინა, წაიყვანთ ავსტრალიაში?

— ცაბაძეს მხარი რთულ მდგომარეობაში აქვს. თუ გამოკეთდა, ცხადია, წავიყვან, მაგრამ ალბათ მსოფლიოს თასამდე ვერ გამოჯანმრთელდება.

— ვისზე თქვით საბოლოოდ უარი? კახა ალანიას ნაკრებში დაბრუნების შანსი თუ აქვს?

— ავსტრალიაში წასვლის არანაირი შანსი არ აქვთ გია რაფავას, კახა კობახიძეს, აჩიკო კობახიძეს, კახა მაჩიტაძეს... რომ მითხრან, ნაკრებში ლუდოვიკო XV აიყვანეო, ავიყვან?! კახა ალანიას და ბობა კვინიხიძის თამაში კი საქართველოს თასის ფინალში ვნახე. დაცვაში ძალიან სუსტები არიან და ნაკრებში მათი გამოძახება არ ღირს.

— ამ უქმეებზე საფრანგეთ — ინგლისის ტესტს დაესწარით. რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ მსოფლიოს თასზე ჯგუფში ჩვენმა მეტოქე ინგლისმა?

— ეს მატჩი მთელმა ნაკრებმა ვნახეთ და ყველას ერთი აზრი დაგვეუფლა — ყველამ უნდა იყვიროს SOS, ვინც ინგლისს ეთამაშება. ფრანგებთან მარცხის მიუხედავად ინგლისის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოა, თანაც მეორე შემადგენლობით თამაშობდა.

— საფრანგეთის ნაკრებს თუ შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის მოგება?

— რა თქმა უნდა, შანსი აქვს და როგორც ფრანგს, ეს ძალიან მინდა.

არჩილ ბუმბურიძე

ედვინ მოზესს სიბერე მობეზრდა



ლეგენდარულმა ამერიკელმა მორბენალმა ედვინ მოზესმა საკუთარ თავს 48-ე დაბადების დღეზე უცნაური საჩუქარი მოუმზადა. იქნებ საჩუქარი არც ერქვას, მაგრამ მოზესი კი საჩუქრად აღიქვამს. ლამის ნახევარ საუკუნეს მიტანებულმა თარჯმრბენმა აქტიურ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა.

„არ გეგონოთ, ახალგაზრდობაში მიღწეულის გამეორებას ვგეგმავდე, ეს არარეალურია — გვეუბნება მოზესი — არც ფინანსური დაინტერესება მაქვს, მხოლოდ საკუთარ თავს გამოვცდი, გავიგებ, რა შემიძლია ამ ასაკში.“

მოზესმა საკუთარ თავს ნორმატივიც მოუნიშნა, 400 თარჯებიანი მეტრი 50,5 წამში უნდა დაფაროს. არადა, ამ შედეგს 'რომც მიაღწიოს, ვერც ახალგაზრდა თარჯმრბენებს გაეჯიბრება და, ცხადია, ვერც თავის ძველ მიღწევებს შესწვდება. ძველი მიღწევები — ორი მსოფლიოს ჩემპიონობა, ლიმპიური ოქროები და მსოფლიო რეკორდები მოუზესის წარსულია. მაგრამ აკი თავადაც თქვა, რომ მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ირბენს.

მატერიალური დაინტერესება რომ არა აქვს, ეს არცაა გასაკვირი. რაც დიდი სპორტიდან წავიდა — ეს კი 1989 წელს მოხდა — მოზესმა მენეჯმენტში და ფინანსთა მართვაში არანაკლები ნიჭი გამოიჩინა და ახლა ეს ერთი შეხედვით კუნთებდაბერილი ზანგით საინვესტიციო ბანკის მენეჯერია. ედვინ მოზესი ამასთან, ქველი საქმეებითაც განთქმულა და როცა ბიზნესმენის სამოსს გაიძრობს, ის ჩვეულებრივი ადამიანია. უყვარს ბავშვებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება და ახალ თაობას ხალისით ასწავლის სირბილის ხერხებს და საიდუმლოებებს.

მოზესის სამძლეოსნო კარიერას რომ გადავხედოთ, იქნებ თვალებიც აგვჭრელდეს. 400 მეტრი თარჯრბენის ყველა დროის უძლიერეს მორბენალს 1977 წლიდან 1987 წლამდე ერთი გარბენიც კი არ წაუგია, ზედიზედ 122 მოიგო და მათ შორის ორჯერ, 1983, 1987 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებზე იპირველა, ხოლო 1976, 1984 წლებში ოლიმპიური ოქრო მოიხვეჭა. 1983 წლის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 47.02 წამი, რომელიც მოგვიანებით ამერიკელმა კევინ იანგმა გაუმჯობესა (46.78 წამი).

რაც შეეხება თანამედროვე სტანდარტებს, წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონის, დომინიკელ სანჩესის შედეგი 47.25 წამია.



ედვინ მოზესს დიადი სათარჯო წარსული უხმობს

სეზონისწინა საჩუქარი

იხსნება ამერიკული ბურთაობის ახალი სეზონი, დღეს ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდებიან იქაური „რედსქინზი“ და „ნიუ იორკ ჯეთზი“. ამასთან დაკავშირებით თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს სწვევიან ეროვნული საბურთაო ლიგის კაცები ვაშინგტონური შეფერილობით. მარცხნიდან იცინიან მოთამაშეთა ასოციაციის თავკაცი ჯინ აპშოუ, ლიგის კომისიონერი პოლ ტალიაბუ, „რედსკინზის“ პატრონი დენ სნაიდერი და ამავე გუნდის ძველი მოთამაშე სონი ჯარგენსენი. ამათ ყველას შეჯიბრის ბურთი უჩუქებიათ კმაყოფილ პრეზიდენტ ბუშისთვის.

REUTERS ვაშინგტონიდან

REUTERS

საიუბილეოდ

„ჰარლი-დევიდსონის“ განთქმული მოტოს ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით მრავალი ამ ძრავისთვის დამახასიათებელი ღონისძიება გაიმართა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ვისკონსინის ქალთა კიკბოქსინგი, რასაც „ბრდღვინვა რანჩოში“ დაერქვა. მთავარ ბრძოლაში ჯორჯიელმა თრიშა ჰილმა კანადელი კერი კრიტერსი (პირით ჩვენსკენ) დაამარცხა.

წვიმის დროა

ფლეშინგ მედოუზში რომ წვიმები დაიწყო და ჩოგბურთში ამერიკის ღია პირველობა გააჩერა, ჩოგბურთელებმა ნაირგვარ გასართობს უწყეს ძებნა. ბელარუსმა მაქს მირნიმ (მარცხნივ) ჭადრაკის ერთდროულ სეანსში სცადა ბედი, თუმცა რა გამოუვიდა, ვერ მოგახსენებთ.



REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS

კურნიკოვა უჩოგნოდ

განა მხოლოდ ბექემათა ერთითა ცხოვრობს ჩინეთი. ანა კურნიკოვას მაჯისსაათიანი პლაკატი შანხაიში ბევრგანაა. არათუ შანხაიში, ნიუ იორკშიც, სადაც ახლა ამერიკის ღია პირველობა მიმდინარეობს, კურნიკოვას ყველგან შეამჩნევთ საჩოგბურთო კორტის გარდა. ზურგის ტრავმით შეჩერებული ანა კი მაინც არ კარგავს იმედს, რომ კორტზეც გამოვა ხოლმე.



REUTERS შანხაიდან

ჟაკის ოქროს გასაღები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ჟაკ როგი პეკინს ჩასულა, რათა 2008 წლის ოლიმპიადის სამარკეტინგო გეგმა დაესახა პეკინის თამაშების თავმჯდომარე ლიუ ჯისთან (მარცხნივ) ერთად. საქმე კარგად იჩარხება, ჩინელებს ორი ოქროს გასაღები დაუხვედრებიათ როგისთვის. ჩინურ ლამაზი თქმით ეს გასაღებები არის მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზრის ალაყაფისა ამიტომ, მთავარი სპონსორები ერთმანეთს დახოცავენ საოლიმპიადოდ. ხომ ცნობილია, რომ არსად იყიდება იმდენი მობილური და ავტომანქანა, რამდენიც ჩინეთში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნდიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge